# საქართველოს
# ქალი

1998

3–4

645
1998










ჟურნალი გამოიცა ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და პროგრამის „რეპროდუქტოლოგიის განვითარება საქართველოში“ დახმარებით.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
- ნანა ოგოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- ეთერ ჯაფარიძე

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — სტუდია „ქარგას“ წევრების ნამუშევრები (ქარგულობა)

დამფუძნებელი — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.
მ. კოსტავას ქ. № 14.

„Sakartvelos Kali“
a Magasine for Woman of the
Republic of Georgia
Georgian Woman

# გზა უფლისა



ჩვენ, მართლმორწმუნე ქრისტიანები ვაღიარებთ და ვეთაყვანებით ქრისტეს, ჯვარცმულსა და აღდგომილს.

მისი მოსვლა ქვეყნად ჭეშმარიტი მოვლენა იყო. „აღსრულებულ არს ჟამი და მოახლოებულ სასუფეველი ღმრთისა“ (მარკ. 1, 15).

...მისი ორი ბუნება — ღვთაებრივი და კაცობრივი... მოვიდა, იტვირთა ცოდვანი კაცთა ეწამა, ვითარცა კაცი და აღსდგა, ვითარცა ღმერთი.

„ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტება, გიძღოდეს თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა“ (იოანე 16, 13) — ასეთი იყო მაცხოვრის აღთქმა.

და დაიწყო ქვეყნისათვის არსებითად ახალი დრო — მაცხოვრის აღთქმის აღსრულება...

და გვიხსნა ჩვენ — „ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“...

ყოველი ჭეშმარიტად მორწმუნე ქრისტიანი ვალდებულია, იცოდეს გზა ქრისტესი — მისი შობა, ცხოვრება, აღსრულება, აღდგომა... ქრისტეს აღდგომას, ღვთაებრივი საიდუმლოს აღქმას ჩვენ შეგვიძლია მივუახლოვდეთ შინაგანი, სულიერი განწმენდის მეშვეობით, სადაც მთავარი მნიშვნელობა ენიჭება რწმენასაც და ცოდნასაც, ცოდნა და რწმენა ავსებს ურთიერთს. როგორც ამბობდა ეკლესიის ცნობილი მასწავლებელი და ფილოსოფოსი კლიმენტი ალექსანდრიელი „არ არსებობს ცოდნა, რომელიც დაკავშირებული არ იყოს რწმენასთან ისევე, როგორც არ არსებობს რწმენა, რომელიც დამოკიდებული არ იქნება ცოდნაზე“.

ჩვენ მოვალენი ვართ, ვიცოდეთ გზა უფლისა...

სქემატურ რუკაზე, რომელსაც ჩვენი ჟურნალი გთავაზობთ, მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების ბოლო დღეთა გზებია აღბეჭდილი და იგი საშუალებას გვაძლევს, მცირედით მაინც განვიცადოთ ხომწარე და სიხარული იესოს ბოლო გზის, მისი წამება, მისი აღდგომა...

რუკა და ტექსტი მოამზადა მართლმორწმუნე ლაზარე ბერძენიშვილმა, პროფესიით ფიზიკოსმა, წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მრევლის წევრმა, წინამძღვარ დეკანოზ ბესარიონის (მენაბდე) ლოცვა-კურთხევით.

კვლავ კლიმენტი ალექსანდრიელს გვინდა დავესესხოთ: „უბრალო რწმენა ადამიანს ჰყოფს მონად, ხოლო რწმენა გაზრდებული — მეგობრად ღვთისად“.

როგორც წმ. წერილი გვამცნობს, ღმერთმა შექმნა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად, უკვდავი სულით და ყველაფერი იღონა მისი სრულყოფისათვის.

მაგრამ შესცოდა ადამიანმა, ცოდვას ცოდვა წაება და კაცობრიობა ცოდვათა ჯაჭვით შემოისალტა.

და დაისაჯა...

მიუხედავად ყველაფრისა, უსაზღვრო იყო უფლის სიყვარული ადამიანების მიმართ და მათი ცოდვილი სულების გადასარჩენად ქვეყნიერებაზე ხორცშესხმული ღმერთი — იესო ქრისტე მოვიდა ადამიანების ცოდვების გამოსასყიდად.

უფლის დაბადებას მეფე დავით წინასწარმეტყველის ქალაქ ბეთლემში, ცოდვებით დამძიმებული კაცობრიობა ჰეროდეს სახით (რომელსაც „დიდი“ შეარქვეს რომაელებ-

# ჩვენთან არს ღმერთი!

მა სისასტიკისა და პრორომაული პოლიტიკისათვის), ყრმების გაჟლეტით შეხვდა.

არ მიიღეს ქვეყნად მოსული მაცხოვარი მღვდელმსახურებმა და მწიგნობრებმა, თუმცა უამრავი ხალხი დაყვებოდა თუ წინ ეგებებოდა იესოს, და მან მრავალი დავრდომილი შეიწყალა, და მრავალი ტანჯული განკურნა, და მრავალს შეუნდო შეცოდებანი მისდამი რწმენისათვის. მისი სასწაულების მიუხედავად, თუნდაც ბეთანიაში ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს აღდგენის შემდეგაც, არც მისი და არც მის შესახებ ნაწინასწარმეტყველები იწამეს მღვდელმთავრებმა, უხუცესებმა და ფარისევლებმა.

პასექის წინა კვირას (ბზობა) იესო სახედარზე დაბრძანებული, დიდებით შევიდა იერუსალიმში ოქროს კარიბჭედან, რომელიც დღეს ამოშენებულია და მხოლოდ მაცხოვრის მეორედ მოსვლისას გაიხსნება. დიდძალი ხალხი შეეგება მესიას. მორწმუნეები მაცხოვარს ძირს უგებდნენ სამოსელს, პალმის რტოებს, ხის მწვანე ტოტებსა და ყვავილებს და გალობით ადიდებდნენ: „ოსანა დავითის ძეს“. სოლომონ ბრძენის მიერ ღმერთის სადიდებლად აშენებული დიდებული ტაძარი კი, სადაც რჯულის კიდობანი იყო დაბრძანებული, უფლის სამლოცველო სახლიდან სავაჭრო ადგილად იყო გადაქცეული მღვდელმსახურებისა და ფარისევლების ხელში. მწარედ დაიტირა იესომ ურწმუნოების ბუდედ გადაქცეული წმიდა ქალაქი და იწინასწარმეტყველა, რომ სასჯელად მტერთაგან დაიქცეოდა იგი.

მხსნელად მოვლენილი მაცხოვრისადმი ურწმუნოებისა და ცოდვების შედეგი იყო, რომ საკუთარი ძმის ცოლთან ჰეროდიადასთან უკეთურ საქციელში მხილებულმა ჰეროდე ანტიპამ, გალილეის მმართველმა, ნადიმზე ცეკვა-როკვისათვის, ჰეროდიადას ქალიშვილისათვის მიცემული ფიცის გამო, იოანე ნათლისმცემელს თავი მოკვეთა, ხოლო მღვდელმთავარის კაიაფას მოთხოვნით მღვდელმთავრებმა. უხუცესებმა და ფარისევლებმა მაცხოვარს სიკვდილი გადაუწყვიტეს. საკუთარმა მოწაფემ, იუდამ კი 30 ვერცხლად გაყიდა მოძღვარი.

გაცემული იესო, როგორც ავაზაკი ისე შეიპყრეს. სინედრიონში გაასამართლეს და იუდეის მმართველს პილატეს მიჰგვარეს.

იესოს გამყიდველმა იუდამ შეინანა, თავი ჩამოიხრჩო და მის მიერ უკან მიბრუნებული ვერცხლით შეძენილ „სისხლის მიწაში“ დაიმარხა სამუდამოდ სულწაწყმედილი და საუკუნოდ მკვდარი.

მკაცრი და დაუნდობელი იყო პილატე პონტოელი. მაინც ვერ მოუნახა დანაშაული იესო ქრისტეს. პილატემ ჰეროდე ანტიპასთან გაგზავნა მაცხოვარი. მან კი დასცინა და შეურაცხყო ხორცშესხმული უფალი. მღვდელმთავრების, უხუცესების და ფარისევლების მიერ წაქეზებული ადამიანების დაჟინებული მოთხოვნით, პილატე სიკვდილმისჯილ ავაზაკ ბარაბას ანთავისუფლებს მაცხოვრის მაგიერ. საჯაროდ „ხელებს იბანს“ იესოს დასჯის ცოდვისაგან და მისთვის სასიკვდილო განაჩენი — ჯვარზე გაკვრა გამოაქვს.

გოლგოთაზე ჯვარს აცვეს მაცხოვარი ორ ავაზაკთან ერთად. ერთმა მათგანმა იწამა ჯვარცმული იესოსი და პირველი ეწია სულის ცხონებას სამოთხეში შესვლით. გოლგოთაზე ეწამა უფალი, რომ მისი დანთხეული სისხლით ადამიანთა ცოდვები გამოესყიდა.

იესომ დაგვანახა ღმერთი, რომელიც ადამიანისათვის მახლობელი და ძვირფასი შეიქმნა და ამით ჩვენი ცხოვრება აზრით, სიხარულითა და სილამაზით აავსო.

და იგი, ქრისტე აღსდგა!

ეს სიტყვა ორი მოიცავს ორ სიცოცხლეს, ორ სოფელს. იგი აკავშირებს მიწას ზეცასთან, ქმნილებას — შემოქმედთან. ადამიანს — ღმერთთან.

— მაცხოვარმა ადამიანის სულის ცხონების გზა გვიჩვენა და ამ გზის ჭეშმარიტებას — მართლმადიდებლობას, მადლმოსილი ცეცხლის გადმოსვლა ადასტურებს.

მაცხოვარს უყვარს ყოველი ჩვენთაგანი...

„მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსრულებამდე სოფლისა“ (მათე 28, 20). მაგრამ უფალი არის იქ, სადაც ცოდვათა განცდა — სინანულია.

და ჩვენ კი, უბრალო მოკვდავნი, დღენიადაგ უნდა ვლოცულობდეთ: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“...

**ლაზარე ბერძენიშვილი**

**რუკა იხილეთ ჩვენი ჟურნალის გარეკანის მე-4 გვ-ზე.**



1. აღდგომის წმინდა ტაძარი. აშენდა IV საუკუნეში ბიზანტიის დედოფლის ელენეს რძანებით. ტაძარი აშენებულია ისე, რომ უმბათზე აღმართული ჯვრების ქვემოთ ზუტად მდებარეობს გოლგოთაზე ჯვარცმის დგილი და საფლავი — მღვიმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელჩი

# მისი გზა რომში მიდის



რუსუდან ლორთქიფანიძე (მარცხნივ) მილანის არქიტექტურის ინსტიტუტში



ოჯახის წევრებთან ერთად



გახეირნება ქალაქში

ისეთი არაფერი გამიკეთებია, რომ ღირდეს ჩემზე წერა, — ბოდიშობს ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძე.

— ღირს, ქალბატონო რუსუდან, ნამდვილად ღირს!

მეტი რა უნდა გაგეკეთებინათ: როგორც ჩვენი აკადემიისა და ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი, მოღვაწეობთ იტალიის უნივერსიტეტებში, დაინტერესებული ხართ თანამედროვე არქიტექტურის ისტორიით და თეორიით. მოიპოვეთ იტალიის სამეცნიერო საზოგადოების აღიარება. როცა რომში იტალიის თანამედროვე არქიტექტურის შესახებ თქვენი წიგნი გამოვიდა, იქაურმა ცნობილმა არქიტექტორებმა აღიარეს მისი ავტორის დამსახურება თემის ღრმა და ორიგინალური ანალიზის გამო.

წარმატებით დაიცავით სადოქტორო დისერტაცია თბილისში და სულ მალე რომის უნივერსიტეტმაც პროფესორობა მოგანიჭათ. აქტიურად ეწევით ქართული კულტურის პროპაგანდას. ერთმანეთთან ახლოებთ ქართველ და იტალიელ მეცნიერებს,, მკვლევარებს, არქიტექტორებს, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებს. 15 წელი საქართველოს არაოფიციალური დესპანი იყავით იტალიაში, ოღონდ მეცნიერებისა და კულტურის დარგში. ახლა კი... პოლიტიკურ სფეროში იწყებთ მოღვაწეობას, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

ამიტომ ღირს თქვენზე წერა, ქალბატონო რუსუდან!

მაგრამ მიკვირს, ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, როგორ მოასწარით ამდენი რამ!

— ბავშვობიდან არქიტექტურით ვიყავი გატაცებული, განა მარტო მე? ჩემი და ნინოც, რომელიც ჩემზე 6 წლით უფროსია, ბიძა — მიხეილ ლორთქიფანიძე — არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქიტექტორი იყო. ნინომ არქიტექტურის ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ შემდეგ ფერწერაში გადაინაცვლა. მისმა შემოქმედებამ მაშინვე მიიქცია ყურადღება და „საქართველოს ქალში“ ქალბატონმა ნანული შევარდნაძემ საინტერესო წერილიც მოათავსა.

მეც არქიტექტურის ფაკულტეტი დავამთავრე და მკვლევარისა და პედაგოგის გზა ავირჩიე. მაგრამ დიდი შრომის გარეშე, რა თქმა უნდა, ვერაფერს მივაღწევდი. შრომის ჩვევა კი ოჯახიდან მომდევს. მამა — რევაზ ლორთქიფანიძე — სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის განყოფილების გამგე და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, თავისი ცხოვრებითა და შრომით ჩემთვის სამაგალითო იყო.

**— მაინც როგორ უთავსებთ ერთმანეთს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და ტექნიკურ უნივერსიტეტში მუშაობას, ყოველწლიურ ხანგრძლივ მივლინებებს იტალიაში და ქმარ-შვილის მოვლას? ვიცი, რომ გყავთ შესანიშნავი მეუღლე და თანამოაზრე, თქვენი ხელშემწყობი და გვერდში მდგომი, არქიტექტორი გიორგი ბერიძე, არქიტექტორები არიან ვაჟი, რძალი და სიძე, ხელოვნებათმცოდნეა ქალიშვილი, ხართ ორი შვილიშვილის ბებია და... ალბათ, კიდევ გამრავლდებით. როგორ ასწრებთ ყველაფერს?**

— რაც მეტად ვარ დატვირთული, უფრო მეტს ვასწრებ. მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, ჩემი შვილების მთავარი აღმზრდელი დედაჩემია. ისინი რომ დაიბადნენ, მან თავისი ეკონომისტობა გვერდზე გადადო და შინ დაჯდა. ყველაფერს ხალისით აკეთებდა. ჩვენს ოჯახში მუდამ მხიარული განწყობილებაა, ხმამაღალი სიტყვა არასოდეს ისმის. ეს ბევრს ნიშნავს.

**— მალე რომში გაემგზავრებით. რა თქმა უნდა, საამისოდ ემზადებით კიდეც. ხომ არ ღელავთ?**

— დიდად არა.

ელჩების ცხოვრებას ასე თუ ისე, ვიცნობ. დის ქმარი საშა ლებედევი საბჭოთა კავშირის ელჩი იყო ჯერ ფინეთში, შემდეგ ჩეხეთში. ხშირად ჩავდიოდი მათთან, მის ცხოვრებას ვაკვირდებოდი. შეიძლება ესეც მათამამებს. გარდა ამისა, ადამიანებთან ურთიერთობა მიყვარს, როგორც მამაჩემს, რომელიც დღენიადაგ მათზე ზრუნავდა. ადვილად ვამყარებ კონტაქტს, ვიზიარებ მათ გასაჭირს, ვცდილობ გავუადვილო ცხოვრება. ალბათ, ეს თვისებებიც დამეხმარება.

საოცარი დამთხვევა მოხდა: მე და ჩემი სიძე ელჩებად ერთ დღეს დავინიშნეთ. მე — საქართველოს ელჩად იტალიაში, საშა კი — რუსეთის ელჩად თურქეთში.

**— ვიცი, რომი ძალიან გიყვართ, ამიტომაც თქვენთვის სასიამოვნო იქნება იქ მოღვაწეობა. მოგვიყევით რაიმე რომის შესახებ.**

— რომი ჩემი ოცნების ქალაქია. სულ პირველად ერთი წელი ვიცხოვრე იქ. მაგრამ მარტო ჩემი ქალაქი როდია. როგორც ცივილიზაციის კერა, ის ყველასია — ჩემიც, თქვენიც, სხვისიც...

რომს ძალიან კარგად ვიცნობ. ეს ჩემი პროფესიის ბრალიცაა, მე ხომ თითოეული სახლის თუ ნაგებობის არქიტექტურას ვსწავლობ. ცენტრი ხომ ხუთი თითივით ვიცი, მაგრამ თანამედროვე იტალიის არქიტექტურის გასაცნობად გარეუბნები ფეხით მაქვს შემოვლილი. კარგად ვიცნობ იტალიის სხვა ქალაქებსაც. მაგრამ, როცა რომიდან გავდივარ, იმ წუთიდან უკან დაბრუნების სურვილი მიჩნდება და დიდხანს ვერსად ვძლებ.

მომწონს რომის ცხოვრების რიტმი, ხმაური, სისწრაფე, ქაოსი, მის ცენტრში რომ მოხვდები, თავს მუზეუმში გრძნობ, მაგრამ ამ მუზეუმშიც სიცოცხლე დუღს, ტემპია. აი, ამიტომ მიყვარს რომი!

თანამედროვე არქიტექტურა მასიური მშენებლობების გამო მხოლოდ გარეუბნებშია. იქ უფრო მძლავრია ცხოვრების მაჯისცემა. დღევანდელი იტალიელებისათვის მრავალოთახიანი კეთილმოწყობილი ბინები შენდება. ოჯახის თითეულ წევრს თავისი საძინებელი აქვს, ხოლო მისაღები და სასადილო ოთახები საერთოა. მათი ლოჯიები ბაღების ტიპისაა და ტერასებს მოგაგონებთ. მართალია, სახლები მაღალჭერიანი არ არის, მაგრამ სიცხე რომ არ იგრძნონ, მზეს ემალებიან, ღრმა ბინებს აშენებენ, ფანჯრებს კი მზის დამცავებს უკეთებენ. თანამედროვე საცხოვრებლები ძალიან მოსახერხებელი და კომფორტულია. ყველაფერია გათვალისწინებული. ქალის შრომის გასაადვილებლად (კეთილმოწყობილ სამზარეულოში სარეცხი მანქანაცაა ჩამონტაჟებული).

ალბათ, გაინტერესებთ, ვინ ცხოვრობს ასეთ სახლებში? იტალიელს, თუკი მუშაობს, ბინის შეძენაც შეუძლია. სახელმწიფო მას გრძელვადიან და უპროცენტო კრედიტს აძლევს. კრედიტს ახალდაქორწინებულებსაც აძლევენ. საშუალო ფენა იტალიაში საკმაოდ წელმაგარია.

**— საინტერესოა, როგორ გრძნობს ქალი თავს ოჯახში, ხომ არ ჩაგრავს მისი პირველი ნახევარი?**

— სულაც არა, პირიქით. ქალს მამაკაცის თანაბარი უფლება აქვს ოჯახში და ზოგჯერ უფრო მეტიც. სიცილიაში, მაგალითად, დედები მართავენ ოჯახს. ასე რომ, დაჩაგრული ქალი მე არ მინახავს. განებივრებულები კი ბევრნი არიან. შინ საჭმლის მომზადებით არ იღლებიან, ფართოდ სარგებლობენ ნახევარფაბრიკატებით. თუ ქალი მუშაობს, ისიც სამუშაო ადგილზე სადილობს. მხოლოდ საღამოს ოჯახის წევრებთან ერთად ვახშმობენ.

როცა შვილები ქორწინდებიან, აუცილებლად ცალკე მიდიან საცხოვრებლად.

იტალიაში ოჯახს გვიან ეკიდებიან. ქალები სამუშაოს შოვნით, მისი შენარჩუნებითა და კარიერით არიან გატაცებული. ამიტომ 35 წლამდე არ თხოვდებიან. შეიძლება ბევრი შვილი იმიტომაც არ ჰყავთ, რომ ვეღარ ასწრებენ და ერთ ან ორ შვილს სჯერდებიან.

განქორწინება იშვიათია. თუმცა ახალი კანონით იგი დაშვებულია, ძველი ტრადიციის გავლენით ოჯახის დანგრევას მაინც ერიდებიან.

**— იტალიელების რა თვისებები მოგწონთ?**

— ხალხი გულღიაა, კეთილი, დამყოლი. შენი საუბარი აინტერესებთ და კარგი მოსმენა იციან.

განსაკუთრებით მომწონს მათი შრომისმოყვარეობა. მე უფრო ინტელექტუალებში ვტრიალებ, ბევრი მეგობარი მყავს, ცნობილ არქიტექტორებს, ხელოვნების მუშაკებს ვხვდები და მოხიბლული ვარ მათი გარჯის უნარით. დიდი არქიტექტორიც კი, საკმაოდ პოპულარული და აღიარებული, ყოველ ახალ დღეს ისე მუყაითად იწყებს, როგორც ახალბედა.

**— როგორ ზრუნავენ ქალები თავიანთ გარეგნობაზე, როგორ იცვამენ, როგორ უვლიან თავს?**

— იტალიელები გამორჩეულად მოდურად იცვამენ. უყვართ ხალისიანი, ცოცხალი ფერები. შეიძლება ბევრი მამაკაცი ვარდისფერ კოსტიუმში შეგხვდეთ. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ქალს თავის მოვლა უპირველეს მოვალეობად მიაჩნია.

**— როგორც ჩანს, კარგად იცნობთ ქვეყანას, სადაც დიდი და საპატიო მისიით მიემგზავრებით. კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას. მით უმეტეს, რომ თქვენ საქართველოს ისტორიაში პირველი ქალი — ელჩი ბრძანდებით.**

**ლია კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ექსპერიმენტული

# მითი და რეალობა

სად გავაჩინოთ ბავშვი?

უკანასკნელ წლებში მომხდარმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა, ომმა, ნგრევამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ქვეყნის განვითარება. ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილი ფიზიკურად, ხოლო დიდი ნაწილი მორალურად განადგურდა. ამას თუ გაძლიერებულ ემიგრაციასაც დავუმატებთ, მართლაც რომ შემაშფოთებელ სურათს მივიღებთ.

სტატისტიკის მიხედვით საქართველოში შობადობა 10-15%-ით შემცირდა.

ახალგაზრდები ორი და მეტი შვილის გაჩენას შეგნებულად თავს არიდებენ, და ალბათ არც გაემტყუნებათ. ნუ მოვთხოვთ ყველას გმირობას!

„გასაჩენი ბავშვი მაინც გაჩნდებაო, — ამბობენ. ხალხი ბრძენია, მისი ნათქვამი კი — ჭეშმარიტება. მაგრამ დღეს, როცა ლამის ყველა კანონზომიერებამ ფერი იცვალა, როცა ყველა აქსიომა დასამტკიცებელი გაგვიხდა, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: მართლა იბადება ყველა გასაჩენი ბავშვი?

ამ კითხვას სხვა კითხვებიც დავუმატეთ და მათზე პასუხის გაცემა პირველი ექსპერიმენტული სამშობიარო სახლის დირექტორს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს ბ-ნ ამირან ქორიძეს ვთხოვეთ. დიახ, „იმ“ პირველი ექსპერიმენტულის, რომელზეც ათასი რამ გვსმენია.

მედალს ორი მხარე აქვს. ორგვარი შეფასება აქვს კლინიკის მუშაობასაც. თუმცა, როგორც „აღმოვაჩინეთ“, აქებენ ისინი, ვინც უშუალოდ გამოსცადა კლინიკის ავ-კარგი და აკრიტიკებს ის, ვისაც ფეხიც კი არ დაუდგამს კლინიკაში.

 მაშ ასე, პირველი ექსპერიმენტული — მითი და სინამდვილე...





● მარცხნიდან — ამირან ქორიძე, ალექსანდრე ფალავანდიშვილი, ზურაბ მურღულია

● ექიმი გური ჩიგოგიძე

**ბ— ნო ამირან, თქვენზე უკეთ ვერავინ შეაფასებს კლინიკის მუშაობას. თქვენი აზრით, რა არის კარგი, მისასალმებელი და რა არის, პირველ რიგში, გამოსასწორებელი?**

— უხარვეზო ქვეყნად არაფერია და, ბუნებრივია, გარკვეული ნაკლოვანებები ჩვენც გვაქვს. კარგი ის არის, რომ ვიცით, რა არის ჩვენი ნაკლი და ყველაფერს ვაკეთებთ მის აღმოსაფხვრელად. მაგრამ მოდით, ამის შესახებ ნუ ვისაუბრებთ, „მტრებს“ არ მივცეთ ხელჩასაჭიდი.

— **ოპონენტები, მართლაც, მრავლად გყავთ...**

— „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“, — ილიმება ბ-ნი ამირანი, — სამწუხაროდ, საქართველოში ჯერჯერობით კეთილსინდისიერი კონკურენცია არ არსებობს. მაგრამ ცხოვრება ნელ-ნელა დგება კალაპოტში და ნორმალურ ურთიერთობებსაც ვისწავლით ალბათ.

ახლა, რაც შეეხება ჩვენი მუშაობის დადებით მხარეს. კლინიკა დაკომპლექტებულია მაღალი რანგის სპეციალისტებით, რომლებსაც უყვართ თავიანთი საქმე, უყვართ ეს შენობა, ეს კედლები. თითოეულ მათგანს გარკვეული წვლილი მიუძღვის კლინიკის ჩამოყალიბებაში. როცა შენი ხელით აშენებ რაიმეს, იმას დასანგრევად ვერ გაიმეტებ. ამიტომაც ჩანს ჩვენი კლინიკის მუშაობა სხვაზე მეტად. მოსამსახურეთა 99% ძველი თანამშრომლები არიან. თითოეულმა მათგანმა კარგად იცის

თავისი ადგილი და საქმე. ზურაბ მურღულია, გოჩა გელაშვილი, ალექსანდრე ფალავანდიშვილი, გური ჩიგოგიძე, თამაზ ანთელავა — ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ბევრია იმედისმომცემი ახალგაზრდა, რომლებიც გარკვეული კონტროლის ქვეშ არიან და ვთვლი, რომ სწორი მიმართულებით იზრდებიან. ადამიანმა თავის შემდეგ ღირსეული მემკვიდრე თუ არ დატოვა, ესე იგი, სულ ამაოდ გარჯილა.

**— დასამალი არ არის, რომ მშობიარობა ყველგან ფასიანია. სხვისგან განსხვავებით თქვენი კლინიკა ამას ოფიციალურად აღიარებს.**

— ჩემი აზრით, ყველაზე ცუდი გაუგებრობაა. მშობიარეს ტკივილის გარდა იმაზეც უხდება ნერვიულობა, ვის რამდენი გადაუხადოს, ვინმეს გული არ დასწყვიტოს ან საერთოდ ეყოფა კი სამშობიაროდ გადადებული თანხა?

ჩვენს კლინიკაში სამედიცინო მომსახურება ფასიანია. ვთვლი, რომ ფასებიც შედარებით რეალურია. სამაგიეროდ, ხმამაღლა შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენი პაციენტები ყველაფრით არიან უზრუნველყოფილნი, მოხსნილი აქვთ თითქმის ყველა პრობლემა, გარდა იმისა, რომ მოთმინებით ელოდონ ბავშვის გაჩენას, თუმცა ფულის ფაქტორი უარყოფით გავლენას ახდენს ზოგიერთ პაციენტზე, მეტისმეტად პრეტენზიულები და მომთხოვნნი ხდებიან. ხშირად მშობიარის პატრონებიც ჭირვეულობენ. რატომღაც ჰგონიათ, რადგან ფული აქვთ გადახდილი, არაფერი არ უნდა გართულდეს. მშობიარობა ურთულესი აქტია და ყოველგვარ გართულებას ათასი ფაქტორი უძღვის წინ.

**— რადგან გართულებები ახსენეთ... რამდენად იმატა პათოლოგიურმა ორსულობებმა?**

— სამწუხაროდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა პათოლოგიური მშობიარობის პროცენტი. ამას ემატება ადრე ჩვენთვის უცნობი დაავადებები, რაზეც ჯერჯერობით მედიცინა არ არის ადაპტირებული. ეს ნაწილობრივ საკვების ბრალია. უცხოეთიდან ვადაგასული უხარისხო პროდუქტები შემოდის, რაც უარყოფით გავლენას ახდენს როგორც ორსულის ჯანმრთელობაზე, ისე ნაყოფის განვითარებაზე.

კლინიკაში გაიხსნა პოლიკლინიკა, სადაც ორსულებს მაღალ დონეზე ჩაუტარდებათ საჭირო გამოკვლევები და კონსულტაციები.

მომავალში მუშაობას დავიწყებთ ისეთ გლობალურ საკითხზე, როგორიცაა უშვილობა.

**— ექიმმა თავისი საქმის გარდა, გაღიმებაც უნდა იცოდეს. მშობიარობას აუტანელი ტკივილები ახლავს თან. ზოგს შეუძლია მოთმენა, ზოგს კი — არა. ხშირად დაუჩივლიათ, ექიმმა მიყვირა, უხეშად მომმართაო.**

— ექიმის გუნება-განწყობილება პაციენტზე დიდ გავლენას ახდენს. ექიმის გაღიზიანება, შეშფოთება, ბუნებრივია, პაციენტზეც უარყოფითად იმოქმედებს. ექიმიც ადამიანია. ისიც იღლება, ღიზიანდება, მაგრამ მას არა აქვს ამის გამომჟღავნების უფლება. დიახ, ხანდახან ექიმი მშობიარეს შეუყვირებს, მაგრამ ამასაც პაციენტის საკეთილდღეოდ აკეთებს. ხანდახან მშობიარე ისეთ რამეს მოიმოქმედებს, ექიმსაც ხელს უშლის და შეიძლება ნაყოფსაც ავნოს.

ასე რომ, როცა ორსული ჩვენთან მობრძანებას გადაწყვეტს, ყოველგვარი უსაფუძვლო შიში, უიმედობა და უნდობლობა კლინიკის კედლებს მიღმა უნდა დატოვოს. რაც საჭირო და აუცილებელია, მშობიარეს დროულად, კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიულად ჩაუტარდება

**კითხვით მივმართეთ საშეანო-საოპერაციო განყოფილების გამგეს ზურაბ მურღულიას. ამ ბლოკს სამშობიარო სახლის გულს ეძახიან.**

**— თქვენს განყოფილებაში შეცდომის უფლებაც კი არ აქვთ. ეს, ბუნებრივია, კიდევ უფრო აძლიერებს თქვენს პასუხისმგებლობას.**

— დიახ, ჩვენს ბლოკზეა დამოკიდებული სამშობიარო სახლის ავ-კარგი. შეცდომის, მოდუნების უფლება ნამდვილად არ გვაქვს. ხშირად წუთები კი არა, წამები განსაზღვრავს ადამიანის სიცოცხლეს. ეს კარგად აქვს გაცნობიერებული ჩვენი ბლოკის ყველა თანამშრომელს. მეანი განსაკუთრებული თვისებებით უნდა იყოს დაჯილდოებული. მას, ცოდნის და გამოცდილების გარდა, სწრაფი ხელები, ცივი გონება და ცხელი გული უნდა ჰქონდეს. ექიმის პროფესიონალიზმი ხომ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სწრაფად გაერკვეს გაუთვალისწინებელ შემთხვევებში და, შესაბამისად, დროული, სწორი გადაწყვეტილება მიიღოს.

კლინიკის მთელი კოლექტივის ძალისხმევა იქითკენ არის მიმართული, რომ ჩვენს განყოფილებას პრობლემები არ ჰქონდეს. ამაზე მაჩვენებლებიც მიგვითითებს. საკეისრო კვეთას, როგორც წესი, გართულებები ახლავს თან. შეიძლება დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ბოლო სამი წლის განმავლობაში ამ ოპერაციის შემდეგ სერიოზული გართულება არ გვქონია. ისრაელის წამყვანი კლინიკების თანამშრომლებთან ერთად შევიმუშავეთ საკეისრო კვეთის ახალი მეთოდი. ოპერაცია დაახლოებით 15 წუთში კეთდება და მაქსიმალურად არის შემცირებული სისხლის დანაკარგი. შედეგები ძალიან კარგი გვაქვს და მომავალში, როცა თანამშრომლობა უცხოელ სპეციალისტებთან გაფართოვდება, კიდევ უკეთესს ველოდებით.

**— ხშირად უთქვამთ, საკეისრო არ იყო საჭირო და მშობიარე მაინც გაკვეთესო.**

— ჩვეულებრივ ფიზიოლოგიურ მშობიარობასთან შედარებით, ოპერაციული ჩარევა დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ვერ გეტყვით, რა მდგომარეობაა ამ მხრივ სხვა კლინიკებში, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია იმის თქმა, რომ ჩვენთან ეს ოპერაცია განსაკუთრებულ შემთხვევებში კეთდება, როცა დედის სიცოცხლეს ან ნაყოფს რაიმე საშიშროება ემუქრება. გარდა ამისა, საკეისრო კვეთა ჩვენთან 440 ლარი ღირს, თუმცა გაცილებით მეტი გვიჯდება და ზედმეტ ხარჯებს მოგებიდან ვფარავთ. ასე რომ, მატერიალური დაინტერესებაც გამორიცხულია.

* * *

კლინიკაში შესვლისთანავე თბილ, კეთილგანწყობილ გარემოში აღმოჩნდებით. მედპერსონალის ყურადღება იმდენად დიდია, რომ თავს უცხოდ და მიუსაფრად ერთი წუთითაც ვერ იგრძნობთ. აქ ხელებში არ გიყურებენ და მუშტრის თვალით არავინ შემოგცქერით. ღიმილიანი და ყურადღებიანია ყველა, ვისთანაც მოგიხდებათ ურთიერთობა. ლამაზად გაფორმებული ინტერიერი, სუფთა, მყუდრო პალატები მშვიდ ატმოსფეროს შეგიქმნით. აქ ირწმუნებთ, რომ ყველა გასაჩენი ბავშვი მართლაც გაჩნდება. ამ რწმენას კიდევ უფრო აძლიერებს ღვთისმშობლის და წმინდანების ხატები, ყოველი კუთხიდან მშვიდად რომ იმზირებიან.

ეს რეკლამა არ არის, არც მითია. ეს პირველი ექსპერიმენტული სამშობიარო სახლის რეალობა გახლავთ, რაც უშუალოდ გამოვცადე.

**მარინე ნაკაიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიყვარული წუთისოფლისა



ცნობილ პოეტ ქალს, დრამატურგსა და ჟურნალისტს, მარიკა ბარათაშვილს 90 წელი შეუსრულდა.

„საქართველოს ქალი“ განსაკუთრებით დავალებულია მისგან — იგი ხომ 26 წელი რედაქტორობდა ჩვენს ჟურნალს და ამ ხნის მანძილზე მისი თაოსნობით ბევრი რამ გაკეთდა ქართველ ქალთა საკეთილდღეოდ.

ჟურნალის კოლექტივი გულმხურვალედ ულოცავს ჩვენს საყვარელ ქალბატონს საიუბილეო თარიღს და უსურვებს ყვლავაც ჯანმრთელ სიცოცხლესა და ნაყოფიერ ლიტერატურულ ცხოვრებას.

გეფერებით, ქალბატონო მარიკა!

**თქვენი**
**„საქართველოს ქალი“.**

ყოველთვის მოწესრიგებული, სიმპათიური და სათნო გამომეტყველების...

სულ ოდნავაა წელში მოხრილი, შეუმჩნევლად, მაგრამ კვლავაც წელგამართულად დადის, უჩვეულო სიმხნევით. ღმერთო, როგორ იტყვი, რომ იგი 90 წლისაა... თუნდაც მისი ხელები — ნაზი, სათუთად მოვლილი, არავითარი დაჭმუჭნულობა, ხმა — მხნე, ახალგაზრდული. მეხსიერება — საოცარი. მთელი დღის განმავლობაში მესაუბრებოდა თავის განვლილ ცხოვრებაზე. უამრავი ლექსი თქვა ზეპირად, საერთოდ არ დაღლილა.

ჰო, ასეთებზე იტყვიან, კარგი ცხოვრებით უცხოვრიათო. ბევრს მართლაც ასე ჰგონია — მარიკა ბარათაშვილს ბედით განებივრებულ ქალად იცნობენ.

არადა, რამდენი სიმწარე აქვს გადატანილი და ბოლოს — უმწარესიც — შვილის დაკარგვა...

წარმოშობით აზნაურ ბარათაშვილების შთამომავალია. ამას ხაზგასმით ამბობს.

და კიდევ, ძვირფასო,
რა მინდა გთხოვო,
ნუ განმსჯი, რომ ვბედავ
და შენს გვარს ვატარებ“.

ეს სტროფი ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსიდანაა. ასეთი მობოდიშებით შევიდა იგი მწერალთა ოჯახში.

მამა — თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული იყო (სტალინი მის მომდევნო ჯგუფში სწავლობდა). დედამ თბილისის საეპარქიო სასწავლებელი დაამთავრა. ორივე პედაგოგობდა. ერთმანეთი გორში გაიცნეს. მაშინ (საუკუნის დასაწყისში) პედაგოგობა და საზოგადო მოღვაწეობა ერთსა და იმავეს ნიშნავდა. მართლაც, სულ მალე მამის გადაწყვეტილებით მშობლიურ ჭიათურას დაუბრუნდა ბარათაშვილების პატარა ოჯახი (გორში უფროსი შვილი — ვახტანგი შეეძინათ, ქალბატონი მარიკა ჭიათურაში დაიბადა).

„მამამ ჭიათურის მრეწველთა საბჭოს მიმართა თხოვნით, რომ იმერეთის სოფლებში სკოლები დაეარსებინათ. არც წერეთლებსა და აბაშიძეებს მორიდებია. მართლაც, მათი ხელშეწყობითა და შეწევნით რამდენიმე სკოლა დაარსდა, ერთ-ერთი მათგანი — სოფელ მერევში. სკოლის გამგედ და მასწავლებლად დედაჩემი მუშაობდა. ჩვენ საკლასო ოთახის გვერდით ვცხოვრობდით. ერთ ზამთარს, დიდთოვლობისას სკოლას ხანძარი გასჩენია. დედა სახურავზე ასულა, თავად უცდია ცეცხლის ჩაქრობა. მარტო ქალი რას გახდებოდა. მერე ხალხიც მიშველებია და სკოლის გადარჩენა მოუხერხებიათ. მე მაშინ 9 თვის ვყოფილვარ. დედა სასტიკად გაციებულა, ფილტვების ანთება დამართნია. უგზოობის გამო დროზე ვერ მიუყვანიათ ექიმთან... ასე, რომ ტუბერკულოზი დაემართა და მე, ჩვილი ხან ერთ ახლობელთან ვიზრდებოდი, ხან მეორესთან, სანამ დედა მოიკეთებდა“.

მაგრამ მაინც ნებიერი ბავშვობა ჰქონდა. ზაფხულობით ნავარძეთში მიდიოდა ბებიასთან — სალომე ლაშხთან, დედის გამოისობით ხშირად ისვენებდნენ აბასთუმანში, ბორჯომში...

მაშინდელ ჭიათურაში საუკეთესო ინტელიგენცია ცხოვრობდა, კულტურული ცხოვრება დუღდა.

„ჩვენს ოჯახში ყოველ ხუთშაბათს იკრიბებოდა ქალაქის ნაღები. ჩამოდიოდნენ თბილისიდანაც — ალექსანდრე აბაშელი, გრიშაშვილი... გვსტუმრობდა შიო მღვიმელი. შიო დედაჩემის ალალი ბიძა იყო. მამაჩემმა ერთხელ დიდი საიუბილეო შეხვედრაც მოუწყო. მთელი ქალაქი ზეიმობდა შიოს იუბილეს.

ჰოდა, ეს შიო პაპა ჩვენთან ჩაიკეტებოდა და წერდა და წერდა. ხელი არ შეუშალოო, — დედა მეტყოდა, — ლექსებსა სწერსო. მე კიდევ ცნობისმოყვარეს, ანცს, რა მომათმენინებდა. ნეტავ, როგორ წერს ამ ლექსებს-მეთქი, კარის ღრიჭოდან შევიჭვრიტე. იჯდა მაგიდასთან და ისე მუშაობდა, როგორც მამა მოწაფეების რვეულების სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



პირველ რიგში: ქალბატონი მარიკა (ცენტრში), ქალიშვილი ნანული ბარათაშვილი, მეუღლე ბიძინა გულისაშვილი და შვილთაშვილები; მეორე რიგში — შვილიშვილები

რებისას. მე კიდევ არაჩვეულებრივი რამ მეგონა ეს ლექსების წერა. თვალი შემასწრო შიომ, ხელში ამიყვანა და ლექსი მიძღვნა. მხოლოდ ეს ნაწყვეტიღა მახსოვს:

„ჩემს პატარა ციცქნატელას,
რომ უცინის ტკბილად ყველას,
ცუგრუმელას, ცისარტყელას,
ბარათაშვილ მარიკელას“.

მერე დიდი კონსტანტინეც შეახსენებს, — მარიკავ, გახსოვს მუხლზე რომ მეჯექიო, რამდენ ლექსსა და ამბავს გაამბობინებდიო (კონსტანტინე გამსახურდია მათი სიძე იყო — რებეკა ვაშაძე, მისი პირველი მეუღლე, ქალბატონ მარიკას მამიდაშვილი გახლდათ).

ჰო, ლექსები ძალიან უყვარდა და გადაწყვეტილი ჰქონდა, შიო მღვიმელივით ბავშვების საყვარელი პოეტი გამხდარიყო.

მისი პირველი ლექსები 1935 წელს დაიბეჭდა „ჭიათურის მაღაროელში“. მერე ეს ლექსები „კომუნისტმა“ გადმობეჭდა.

„ამან ძალიან გამახარა. თბილისში წასულ დეიდას რედაქციისათვის მადლობები დავაბარე. აქეთ მადლობა, თქვენო, ასეთი მშვენიერი ლექსებისათვისო, — უთქვამს ვასილ ეგნატაშვილს, რედაქტორის მოადგილეს. სხვათაშორის, ვასილ ეგნატაშვილმა მერეც დიდი მზრუნველობა გამიწია, ჩემს „ჭრიჭინას“ მაყურებელი რომ ენახა“.

მერე ლექსებს უკვე ხშირად უბეჭდავდნენ. თბილისში გადმოსვლის შემდეგ ბევრ მწერალს პირადად გაეცნო და შეძლებისდაგვარად ჩაერთო ლიტერატურულ ცხოვრებაში.

„ბორჯომში მიმყავდა ავადმყოფი მეუღლე დასასვენებლად. საყიდლებზე გასულმა გზად მწერალთა კავშირში შევიარე. ირაკლი აბაშიძე იყო თავმჯდომარე. ირაკლიმ მითხრა: მარიკა, განცხადება დაწერე, ჩვენი ოჯახის წევრი უნდა გაგხადოთო. სულ მოულოდნელი სიხარულები და ტკივილები მარგუნა ღმერთმა. ორი კვირის შემდეგ წავიკითხე ეს ამბავი „ლიტერატურულ გაზეთში“. და იცით, რა იყო, გეთაყვა, ეს ჩემთვის?“

მწერალთა კავშირში პირველი საჯარო გამოსვლის შემდეგ (ლექსები წაიკითხა) აღტაცებულმა გრიშაშვილმა დაიძახა: „მარიკავ, მე შენი ტრუბადური ვარ!“

„კარგი ურთიერთობა მქონდა გრიშაშვილთან. მისმა „ნარგიზმა“ გული მატკინა. ქალების მუსუსი სოსო იმ ლექსში, თუ გახსოვთ, ქალს ორგულად სახავდა, სიყვარული რომ არ შეეძლო, ისეთად. დავუწერე ინკოგნიტოდ ლექსი „ვისი ბრალია“ და ეს შენი სოსო კარგად „გამოვთათხე“. კარგა ხნის მერე გაიგო, მე რომ ვიყავი მისი ავტორი და გულიანად იცინა. ახლოს ვიყავი გალაკტიონთან. ლექსიც მიძღვნა...

როგორც შემეძლო, გეთაყვა, იმ წლებში ისე ვახერხებდი, ასე ვთქვათ, მწერლურ ცხოვრებას. სასთუმალქვეშ მქონდა რვეული და ფანქარი და ძალზე ხშირად მთვარის შუქზე ვწერდი ლექსებს. ვფრთხილობდი. რომ არ გამეღვიძებინა ავადმყოფი მეუღლე და მამამთილი“.

სიყვარულით გათხოვდა. მისი მეუღლე კვიროსი ყურაშვილი იმ დროის ცნობილი ქირურგი გახლდათ.

„თბილისიდან ახალგაზრდა ექიმი ჩამოგვივიდა, რომ იცოდე, რა ბიჭიაო, მითხრა ნათესავმა. „ბაგაჟი“ თუ ჩამოყვა-მეთქი, გავიხუმრე. მის ჭკუას ვგულისხმობდი, რა თქმა უნდა. მერე შემთხვევით ერთ ოჯახში შევხვდი, გაშლილი სუფრიდან წამოდგა და მითხრა, — ეს თქვენა ბრძანეთ ჩემზე, „ბაგაჟი“ თუ ჩამოყვაო? — ორი „კარზინკა“ და ერთი ჩემოდანი, შენი ჭირიმეო“...

ახლა ასე მშვენივრად გამოიყურება. ამ ასაკში, და მაშინ — 20 წლისა რა იქნებოდა. იმდროინდელი სურათებიდან ძალზედ მომხიბვლელი, ლამაზი გოგონა იყურება.

„ჰო, არა მიშავდა რა. ერთხელ ჭიათურის თეატრის გახსნისას, საქველმოქმედო კონცერტი გავმართეთ. მე ყვავილების გამყიდველი ვიყავი. ხელში ყვავილებით სავსე კალათით. ჩემი ლექსიც წავიკითხე — „ვყიდი ყვავილებს“. თეთრი კაბა მეცვა, თავზე — ყვავილწნული. მერე ჩავირბინე დარბაზში და... უამრავი ფული შემიგროვდა. იმ საღამოს ამერიკელებიც ესწრებოდნენ და ყველაზე უხვად ისინი გაისარჯნენ“.

მაისში გათხოვდა.

„მაისში ქორწინება არ შეიძლებაო, რომ უთქვამთ, ეს თავად გამოვცადე. ხუთი თვის მერე ჩემი მეუღლე გაცივდა და თირკმელების ნეფრიტით დაავადდა. ხუთი წელი იცოცხლოს იქნებო, ასე თქვეს ექიმებმა. 11 წელი იცოცხლა, ოთხი წელი ლოგინად იყო ჩავარდნილი. შენ მაცოცხლებო, ხშირად მეტყოდა. მამამთილი მყავდა ძალზე მძიმე ავადმყოფი. 7 წელი ვუვლიდი მასაც. 1941

წელს 3 მარტს გარდამეცვალა ქმარი და მამამისიც — 3 დღის შემდეგ. ორივეს ჭირისუფალი და დამმარხავი მე ვიყავი"...

მანამდე კი — ერთადერთი ძმა გარდამეცვალა, 10 წლის გადასახლებიდან დაბრუნებული.

„ჩემი ვახტანგი... შორეულ აღმოსავლეთში იყო გადასახლებული, სალონკის კუნძულებზე, მანამდე — ცნობილ ბუტირკის ციხეში იჯდა. სოციალ-ფედერალისტი იყო, პატრიოტი თავისი ერისა. განახევრებული ჩამოვიდა იქიდან. სამი წლის ბიჭი დარჩა, გურამი. თითქმის ჩემი გაზრდილია. ჩემს ნანულისთან და მერაბთან ერთად ვზრდიდი მასაც".

და წლობით გრძელდებოდა გაჭირვება. მამა ვახტანგის დარდს გადაყვა, მერე დედაც გარდაიცვალა. შვილებს რჩენა უნდოდათ.

„ერთხელ მთლად უკაპიკოდ ვარ დარჩენილი და ვფიქრობ, რა ვქნა, რა გზას დავადგე. ღამით მეუღლე მესიზმრა, — მარიკუნა, საწერი მაგიდის უჯრაში, საბუთების ქვეშ ობლიგაციებია, ზემოთა ორი აიღე, ცოტა ხანი მაინც გეყოფათო. გავიღვიძე და ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, მთლად ისე იყო ყველაფერი, როგორც მითხრა. მართლაც, ერთმა 2000 მანეთი მოიგო, მეორემ — 200. კარგა ხანს გვეყო ეს თანხა..."

ახალდაქვრივებული იყო, უნივერსიტეტში რომ ჩაირიცხა, ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

„ალბათ ბევრს უკვირდა, როგორ ყოფნის ძალაო. მე, გეთაყვა, გაჭირვებული ცხოვრება და უსაშველო დარდები მხოლოდ შრომამ შემიმსუბუქა. რაც უფრო მეტი მტკიოდა, მით უფრო ვუძალიანდებოდი ცხოვრებას".

...გავიდა ხანი. მეორედ გათხოვდა.

...მის შვილებს მეორე ძმა შეემატათ — სულხანი. ქალბატონ მარიკას მეორე მეუღლის ბიძინა გულისაშვილის ვაჟი.

„ბიძინა და მე სპეციალურად გაგვაცნეს. ისიც ქვრივი იყო, ჩემსავით. ძალიან დიდხანს ვიცხოვრეთ მე და ბიძინამ ერთად და არ გვახსოვს, რომ შვილები გვეთოვერჩიოს. ის იყო მამა და მე დედა სამი შვილისა".

ჰქონდა, ბევრი სიხარული ჰქონდა. ლექსების კრებულები გამოსცა. ათი დადგმული პიესის ავტორია. მისი „ჭრიჭინა" საბჭოთა კავშირის 170-მა თეატრმა დადგა, უცხოეთის — 28 თეატრმა. ითარგმნა მრავალ ენაზე, თვით ჩინურზეც.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო და მაშინ აუცხადდა ბავშვური ოცნება.

„ბავშვობაში სულ ამას ვოცნებობდი. ნეტავი ზღაპრული მზეთუნახავი ვიყო-მეთქი. ძალიან მინდოდა, დავხმარებოდი თანასოფლელებს, გაჭირვებულად რომ აღარ ეცხოვრათ. ჰქონოდათ წყალი, გზა, შუქი. ეს ოცნება დეპუტატობის ჟამს შევისრულე და როგორც შემეძლო, ჩემს სოფელს ისე დავეხმარე"...

„საქართველოს ქალი" თეო აბაშმაძის შემდეგ ჩაიბარა. მოთაყვანე იყო ქალბატონ თეოსი, ლექსიც მიუძღვნა.

ახლაც „საქართველოს ქალის" ცხოვრებით ცხოვრობს. მისი რედკოლეგიის წევრია. ნომერს არ გამოტოვებს წაუკითხავს. ძალიან უყვარს ყოფილი თანამშრომლები, „მისი გოგოები", როგორც თავად ამბობს.

წერილის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, უმწარესი ტკივილიც არ დააკლო ღმერთმა — შვილის, შესანიშნავი ვაჟკაცის სიკვდილი.

„ახლაც თავი კოშმარულ სიზმარში მგონია, ვიჯერებ განა, ჩემი მერაბი ცოცხალი რომ აღარაა?!

მერე „რექვიემს" კითხულობს, შვილისადმი მიძღვნილს.

„სულ მუდამ გზაჯვარედინზე ვიდექი. პირადი და შემოქმედებითი ცხოვრება კვეთდა ერთმანეთს, ორივე ტკივილიანი იყო და მაინც... ხვალინდელი დღის უკეთესობისა ძალიან მჯერა..."

ჰო, წუთისოფელი ასეა — მწარე და მაინც კეთილი.

**მანანა ზარიძე**



მარიკა ბარათაშვილი (მეორე რიგში ცენტრში) და რედაქციის თანამშრომლები: პირველ რიგში მარცხნიდან — ცინარა ტერელაძე, ნაზი კილასონია, ნანული ბარათაშვილი, ლია კაკაბაძე, ირმა ჩოფიკაშვილი, ნანული ბუკია. მეორე რიგში მარცხნიდან — ნაზი თარგამაძე, ეთერ ჭავჭავაძე, ნანული შევარდნაძე, ოლია რევია.



ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა არ მიჯერებს, შეიძლება ცოტა მოვცხო?

**თოთო ბავშვის დედას შეკითხვებს რა დაულევს? ხან რა პრობლემა წამოიწევს წინ და ხან — რა. ამ შეკითხვებს დაუზარებლად უპასუხებს ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი ჩეხი ექიმი მიროსლავ მატოუშეკი.**

**— უკანასკნელ კვირეებში ახალი არაფერი უსწავლია. ხომ არ შეაჩერა განვითარება?**

— თქვენ ასე გეჩვენებათ, რადგან მუდმივად მასთან ხართ და ვერ ამჩნევთ მის ნელ-ნელა და თანდათანობით ცვლილებას. მაგრამ მისი გონებრივი და მოძრაობის უნარი სრულიად ნორმალურად ვითარდება. დამჯდარი ენერგიულად ცდილობს წამოწევას, როგორც კი რამეზე ხელის მოკიდების შესაძლებლობა მიეცემა. მუცლიდან ზურგზეც თავისუფლად ბრუნდება. ხოლო მუცელზე რომ გადმობრუნდეს, ოდნავი წახმარებაც საკმარისია, იწყებს ხოხვასაც. ამისათვის იგი თქვენგან წახალისებას იმსახურებს, სათამაშო ან რაიმე ლამაზი ნივთი მოშორებით დაუდეთ და ბავშვი აუცილებლად წახოხდება მის ასაღებად. სათამაშოს უკვე საჩვენებელი და ცერა თითით იღებს, რითაც საშუალება ეძლევა კარგად დაათვალიეროს, ხელიდან ხელში გადააქვს საგნები და ა.შ.

**— თუ შეიძლება გავიგო, ესმის თუ არა ბავშვს?**

— დაახლოებით და ამაში უნდა გამოვიყენოთ მისი უნარი. ბავშვი ყოველთვის რეაგირებს ხმაზე, თავს ატრიალებს და ცდილობს, განსაზღვროს, საიდან მოდის იგი. ხმა შეიძლება სუსტიც იყოს. ყველაზე უკეთ მისი სმენის შემოწმება ასე ხდება: როცა ბავშვი ჩვენკენ ზურგით ზის, მის ზურგსუკან კოვზი შემოვკრათ ჭიქას ან დავილაპარაკოთ. ბავშვი ან თავს შემოაბრუნებს ან მთელი ტანით შემოტრიალდება.

კიდევ ერთი. ბავშვს უნდა ველაპარაკოთ წყნარად, ალერსიანად, მაგრამ სწორად. თუ მას მიმართავ „საკალელო", ეს სულაც არ ჟღერს უფრო ალერსიანად ვიდრე სიტყვა „საყვარელო". რადგან როცა ბავშვი ლაპარაკს დაიწყებს, გადაიღებს თქვენგან დამახინჯებულ სიტყვებს.

**—როცა არ მიჯერებს, თუ შეიძლება ცოტა მოვცხო კიდეც?**

— სჯობს თუ თქვენს თავს პირობას მისცემთ ისე გაზარდოთ ბავშვი, არ გალახოთ და არ გაუწყრეთ. ბავშვები, რომლებსაც უხეშად უყვირიან, სცემენ, ხშირად ჩვენ რომ გვსურს, სწორედ მის საწინააღმდეგოდ იქცევიან.

არ იფიქროთ, რომ ვთქვათ 6 თვიდან შეუდგებით სწორ აღზრდას, მანამდე კი პატარაა, არაფერი ესმის და როგორც გინდათ, ისე მოექცევით. არა — აღზრდა პირველივე დღეებიდან უნდა დაიწყოთ, ხოლო დედამ თვითაღზრდას მანამდეც უნდა მიჰყოს ხელი. კარგ აღმზრდელებად არ იბადებიან, ამასაც სწავლა და წრთვნა სჭირდება.

მალე ბავშვი თქვენს მიბაძვას დაიწყებს. მისთვის თქვენ მაგალითად იქცევით. ამიტომ იმთავითვე უნდა ეცადოთ, კარგი მაგალითი იყოთ. სწორი აღმზრდელობითი პრინციპები ისე უნდა გაითავისოთ, რომ ავტომატურად ასრულებდეთ მათ. საოცარია, მაგრამ ფაქტია — ბავშვები მშობლებისაგან და, საერთოდ, გარშემომყოფთაგან ცუდ ჩვევებს უფრო იძენენ, ვიდრე კარგს.

**— ვაპირებთ სოფელში, ბებიასთან წაყვანას. პენიცილინი ან სხვა წამლები თუ წავიღო?**

— არავითარ პენიცილინს არ გამოგიწერთ, რადგან ამან შეიძლება ბავშვს დიდი ზიანი მიაყენოს.

ძირითად პრინციპად ბავშვის ავადმყოფობის დროს უნდა გაიხადოთ „პანიკის გარეშე". შეინარჩუნეთ სიმშვიდე და სალი აზრი. ნებისმიერი ბავშვი ავადმყოფობს და მაღალი ტემპერატურა ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა ავადმყოფობაზე. ნუ შეგეშინდებათ თუ ბავშვს სრულიად მოულოდნელად, უცებ მისცემს სიცხეს, თანაც მაღალ სიცხეს. პატარებში ეს ხშირი შემთხვევაა, მაშინაც კი, როცა ავადმყოფობა ბანალურია — ვთქვათ, სასუნთქი გზების კატარი. ამ დროს, შესაძლოა, სიცხემ 40 გრადუსს მიაღწიოს, ორიოდე საათის შემდეგ ის ისევ დაეცეს. სულაც არაა აუცილებელი ეს ფილტვების ანთების მაჩვენებელი იყოს. წაიღეთ ასპირინი საბავშვო დოზებში. თუ ბავშვი ავად გახდა, მიეცით ნახევარი აბი ექიმის მოსვლამდე. ოფლის მოსადენად საკმარისია მივცეთ თბილი ჩაი და გავხვიოთ საბანში ყელამდე. არაა საჭირო თბილი ჯემპრები ჩავაცვათ და ოთახიც აბანოსავით გავახუროთ. დაე მოიდინოს ოფლი 15-30 წუთის განმავლობაში. თუ ამასობაში ჩაიძინებს, ნუ გააღვიძებთ, დაე თვითონ გაიღვიძოს. მაშინვე გავამშრალოთ მშრალი პირსახოცით და გამოვუცვალოთ ტანსაცმელი. რამდენიმე ხანს ნუ ააყენებთ. მას მოსვენება ესაჭიროება. არაა აუცილებელი ხელში აყვანა. მხოლოდ ეცადეთ, ხშირ-ხშირად მისცეთ სითხე, ჩაი ან ხილის წვენი.

**— სიცხის გაზომვის დროს თერმომეტრს იღლიაში არ იჩერებს, სწორ ნაწლავში კიეშინია, არ ჩაუტყდეს.**

— 6 თვის შემდეგ შეიძლება იღლიაშიც გავუზომოთ სიცხე. დაისვით მუხლებზე, თქვენსკენ ზურგით, კარგად მოხვიეთ ცალი ხელი გულმკერდზე, მეორეთი ჩაუდეთ თერმომეტრი იღლიაში. მიაქციეთ ყურადღება, რომ თერმომეტრის ვერცხლისწყლიანი წვერი მუდმივად იღლიაში ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზომვა სწორ შედეგს ვერ გიჩვენებთ. ხოლო უფრო პატარებზე უფრო მოსახერხებელია სიცხის გაზომვა სწორი ნაწლავიდან.

ბავშვი დააწვინეთ ზურგზე, მარჯვენა მხრით თქვენსკენ. ხელი მოჰკიდეთ კოჭებთან, ოდნავ დააწექით ისე, რომ მოხრილი ფეხები ბავშვს მუცელთან მიუტანოთ. ამით გამორიცხავთ მისი ფეხების მოძრაობას. მარჯვენა ხელი თავისუფალი გაქვთ. სწორედ ამ ხელით შეუყვანთ ვაზელინწასმულ წვერს თერმომეტრისას ბავშვს სწორნაწლავში და უყურებთ ვერცხლისწყლის სვეტის მოძრაობას. როგორც კი სვეტი მოძრაობას შეწყვეტს, ტემპერატურის გაზომვა დამთავრებულია, ამისათვის საკმარისია 3-5 წუთი.

**— 37° ჩავთვალო თუ არა აწეულ ტემპერატურად?**

— თუ იღლიის ქვეშ გაუზომეთ, მაშინ აწეულია. სწორ ნაწლავში კი 3-5 მეათედით მაღალია. ეს საშუალო მონაცემებია. არიან ბავშვები, რომლებსაც ჩვეულებრივ მუდმივად 38° აქვთ. ამის გარდა სხეულის ტემპერატურა დღეღამის მანძილზე მერყეობს. დილას დაბალია, სადილობის შემდეგ კი პიკს აღწევს. ამიტომ სასურველია, გამოჯანმრთელების შემდეგ რამდენჯერმე გაუზომოთ სიცხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედები გვეკითხებიან

**პასუხის გაცემა ვთხოვეთ ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო ინსტიტუტის ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგს ნანა ჭინდელს**

**— შეშფოთებული ვარ იმით, რომ ჩემს პატარა გოგონას სასქესო ორგანოების ანთება აქვს. რისგან შეიძლება იყოს გამოწვეული ეს დაავადება?**

— გარეთა სასქესო ორგანოების და საშოს ანთებითი პროცესი ანუ ვულვო-ვაგინიტი გინეკოლოგიური დაავადებებიდან ბავშვებში საკმაოდ ხშირად გვხვდება — დაწყებული ახალშობილობის პერიოდიდან, ბავშვობისა და მოზარდობის ასაკში.

ანთების მიზეზი შეიძლება იყოს სპეციფიკური და არასპეციფიკური ხასიათის როგორც ეგზოგენური (გარეგანი) ასევე ენდოგენური (შინაგანი) ფაქტორები.

არასპეციფიკური ვულვო-ვაგინიტი აღენიშნებათ გოგონებს, რომლებსაც აქვთ ექსუდაციური და ლიმფატური დიათეზი, ავიტამინოზი, შაქრიანი დიაბეტი, ყაბზობა, ენტეროკოლიტი, ინფექციური დაავადებები: ჩუტყვავილა, წითელა, დიფტერია, ქუნთრუშა, ქლამიდიოზი, გრიპი, ხშირი ანგინები, ჰელმინთოზი (ჭიები), რომლებიც მექანიკურ-ტოქსიკურ ზემოქმედებას ახდენენ გარეთა სასქესო ორგანოების ლორწოვან გარსზე, ვინაიდან ნაწლავიდან გადააქვს მრავლობითი პათოლოგიური ფლორა. ვულვო-ვაგინიტების ნახევარზე მეტს შეადგენს ტრიქომონადური და მიკოზური სოკო. ზოგჯერ ვულვო-ვაგინიტის მიზეზია ონანიზმი ან საშოში უცხო სხეულის შეტანა, თერმული და ქიმიური გამღიზიანებლები: მაგალითად, ცხელი სათბური ან აბაზანა, ჭუჭყიანი ხელები, საერთო ქოთანი, ტუალეტი, აბაზანა, სწორ ნაწლავში ტემპერატურის გასაზომად შეტანილი თერმომეტრი, ოყნა, სველი პირსახოცი, ლოგინი, ტანსაცმელი, მომვლელი პერსონალი საბავშვო ბაღებსა და ბაგებში. ყველაზე მყარი ინფექციის წყარო დაავადებული მშობლები (განსაკუთრებით დედები) არიან. ამიტომ არასპეციფიური ვულვო-ვაგინიტი ხშირად ოჯახურ ხასიათს ატარებს, რაც ყურადსაღებია მკურნალობისას. აღწერილია შემთხვევები მუცლადყოფნის პერიოდში გოგონების გონორეით დაინფიცირებისა, რომლის გადაცემაც შეიძლება მოხდეს როგორც პლაცენტით, ასევე სანაყოფე წყლებით, აღმავალი გზით ორსულის საშოდან. ახალშობილებში და ძუძუმწოვარა გოგონებში ადგილი აქვს სასირცხვო ბაგეების შეწებებას ე. წ. სინექიების ვაჩენის გზით. სინექიების არსებობა ხშირად შეუმჩნეველია, პროცესი მიმდინარეობს უსიმპტომოდ, ზოგჯერ კი ყურადღებას იწვევს შარდვის გაძლიერება და ქავილი. ასეთ შემთხვევებში გარდა ზოგადი მკურნალობისა, საჭიროა სინექიების გათიშვა.

მიმდინარეობის მიხედვით არჩევენ: მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკულ ვულვო-ვაგინიტს.

მწვავეს მიეკუთვნება დაავადება, რომლის მიმდინარეობა ერთ თვემდე გრძელდება, ქვემწვავე — 3 თვემდე, ქრონიკული — 3 თვის ზევით. ისინი ერთმანეთისგან ფორმითაც განსხვავდებიან.

მწვავე ვულვო-ვაგინიტისათვის დამახასიათებელია: ლორწოვანი გარსის სიწითლე, შეშუპება, წვის შეგრძნება მოშარდვის შემდეგ, სხვადასხვა ფერის და კონსისტენციის გამონადენი (თეთრი, მოყვითალო, მომწვანო, ხაჭოსებური, ქაფიანი, ჩირქოვანი).

ქრონიკული ვულვო-ვაგინიტის მთავარი სიმპტომია მხოლოდ ქავილი მცირე სასირცხვო ბაგეების შიდა ზედაპირზე, საქალწულე აპკზე და საშოში ლორწოვანის შეწითლება. დიაგნოზის დასმა ხდება საშოს მასალის ბაქტერიოსკოპული და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევით.

მკურნალობა უნდა იყოს ინდივიდუალური, კომპლექსური, ორგანიზმის წინააღმდეგობის გასაძლიერებლად ნივთიერებათა ცვლის მოსაწესრიგებლად მიმართული.

ავადმყოფი მკაცრად უნდა იცავდეს გარეთა სასქესო ორგანოების ჰიგიენას. მწვავე პროცესის დროს დღის განმავლობაში საჭიროა 3-4-ჯერ დამუშავება სადეზინფექციო საშუალებებით, რის შემდგომ ხდება სხვადასხვა მალამოების ფრთხილი შეზელვა.

ქრონიკული ვულვო-ვაგინიტის დროს ზემოთ ჩამოთვლილს ემატება გამწოვი თერაპია, მინისებური სხეული, ალოე, გამა-გლობულინი, ფიზიოთერაპიული პროცედურები, პარალელურად მედიკამენტოზური მკურნალობა.

ტრიქომონალური, სოკოვანი და გონორეული ვულვო-ვაგინიტის დროს გამოკვლეული უნდა იყვნენ დედები და ჩაუტარდეთ მკურნალობა, ვინაიდან გოგონებისთვის სწორედ ისინი წარმოადგენენ ინფექციის წყაროს.

ჭიებით გამოწვეული ვაგინიტების დროს ძირითადი მკურნალობა მიმართულია ჭიების საწინააღმდეგოდ. შემდეგ კი მკურნალობის სქემაში გარეთა სასქესო ორგანოების ადგილობრივი დამუშავება და მედიკამენტოზური მკურნალობა ერთვება.

ვულვო-ვაგინიტის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს გოგონების ორგანიზმის ზოგად გამოჯანმრთელებას, სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას, ენტერობიოზის (ჭიების) დროულ მკურნალობას, ცხვირხახის და ზემო სასუნთქი გზების დროულ სანაციას ინფექციური დაავადებების დროს.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება ავიცდინოთ გარეთა სასქესო ორგანოების ანთებითი პროცესები, რომლებიც პათოლოგიურ ცვლილებებს იწვევს როგორც ადგილობრივად, ასევე ცენტრალურ მარეგულირებელ მექანიზმებზე: ცუდი ძილი, ადვილად აგზნებადობა, აღმავალი ინფექციით ფალოპის მილების დაზიანება, პიელონეფრიტი, შემდგომში რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევა.

მკურნალობის დამთავრების შემდგომ სამი თვის მანძილზე ავადმყოფი დისპანსერულ მეთვალყურეობაზე უნდა იმყოფებოდეს.

# „მზითვის წიგნი" ყველა გასათხოვარ ქალს უნდა ჰქონდეს





**—ქ-ნო ლიზა, სასიამოვნოდ გამაოცა და გამახარა თქვენს მიერ დიდი რუდუნებითა და ღვაწლით გამოცემულმა წიგნმა, რომლისთვისაც ესოდენ მოხდენილად გიწოდებიათ „მზითვის წიგნი". ეს წიგნი ყველა გასათხოვარ ქალს უნდა ჰქონდეს, რადგან მასში თავმოყრილია ბევრი რამ ისეთი, რაც აუცილებლად უნდა იცოდეს ახალგაზრდა ქალმა, ცოლმა, ახალგაზრდა დედამ, რომელსაც იმდენი დრო არასოდეს რჩება, სხვადასხვა წიგნში ეძებოს, რაც თითქმის ყოველდღიურად დასჭირდება, ასეთ დროს ხომ ყველაზე ბრძენი მრჩეველი წიგნია!**

**ადრე, როცა სახელმწიფოს ეცალა ეზრუნა ახალგაზრდა ოჯახებზე, ჯანსაღი შთამომავლობის გაზრდაზე, მახსოვს, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დაევალა გამოეცა ისეთი წიგნი, რომელსაც ქორწინების რეგისტრაციის წინ დაურიგებდნენ ახალდაქორწინებულთ და რომელიც მრავალ შეცდომას აცილებდა მათ. გამომცემლობამ მე მთხოვა ამ შრომის შესრულება. ასე გაჩნდა ჩემი პატარა წიგნი „ღია ბარათი ახალდაქორწინებულთ". რამდენიმე წელიწადი ეს წიგნაკი მართლაც ყველა ახალდაქორწინებულს ეძლეოდა საჩუქრად და გაფრთხილებად.**

**მაგრამ წლები გავიდა, წიგნის ტირაჟი ამოიწურა, ქვეყანა აირია და ვერავინ მოიცალა ამ საქმისათვის.**

**ახლა კი თქვენ თითქმის ენციკლოპედიური ხასიათის სამუშაო ჩაგიტარებიათ.**

**გვიამბეთ, რამ გიბიძგათ მის შესადგენად?**

— უპირველესად მინდა მადლობა გადაგიხადოთ „მზითვის წიგნის" მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის. მიხარია, რომ საშუალება მომეცა გამოვამჟღავნო ჩემი დამოკიდებულება — სიყვარული და პატივისცემა ჟურნალისადმი და პირადად თქვენდამი, ქალბატონო ნარგიზა.

წლების განმავლობაში თქვენთან შემოქმედებითი მეგობრობა მაკავშირებს. როგორც რედაქტორი ყოველთვის ყურადღებით ეპყრობოდით ჩემს შემოქმედებას, ლექსებს. ჯერ ახალგაზრდულ პრესაში, შემდგომ „საქართველოს ქალში" ხშირად მიქვეყნებდით. ასე რომ, თუ ჩემი ლექსები ასე თუ ისე ცნობილია საზოგადოებისათვის, ეს თქვენი დამსახურებაცაა. მინდა, დღეს საჯაროდ გითხრათ მადლობა. მოხარული ვარ, რომ ჩვენი შემოქმედებითი მეგობრობა გრძელდება.

საქართველოში, ასეთი დიდი ტრადიციების ქვეყანაში, უსათუოდ უნდა დაწერილიყო „მზითვის წიგნი". ჩემთვის ძალზე საინტერესო და საპასუხისმგებლო იყო ამ წიგნზე მუშაობა, მაგრამ იქნებ ეს განგების ნება იყო...

ბევრი მეკითხება, რამ შთაგაგონა ეს წიგნიო? ვფიქრობ ჩემმა ერმა, ქვეყანამ, უფრო კონკრეტულად ჩემმა ოჯახმა.

ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე, სადაც ქართული სულიერება სუფევდა, იდეალური რძალ-დედამთილობა ჰქონდათ დედას და ბებიას. დედა შემდგომ საოცრად კარგი ბებია და სიდედრი იყო. ჩემმა სიძემ დაბადებიდან სამოცდაათი წლისთავი გადაუხადა. შესანიშნავი სუფრა გაშალა და საგულდაგულოდ დაკრეფილი სამოცდაათი მიხაკი მიართვა.

ბევრი ჰარმონიული ოჯახი იყო ჩემს ირგვლივ. აი, ასეთ სიყვარულით სავსე გარემოში ვიზრდებოდით მე და ჩემი და. შემდეგ წლებში დავინახე გაუცხოებული რძალ-დედამთილი, რძლები, რძალ-მული. ყოველივე ეს ჩემთვის უცხო და მიუღებელი იყო. ალბათ წიგნის იდეა ქვეცნობიერად ჩემში ბავშვობაში დაიბადა. ალბათ, „მზითვის წიგნის" საფუძველი ჩვენი ფესვებია...

ის, რასაც ვკარნახობთ წიგნში ქართველ ასულებს; ამაღლებულ სიყვარულს, ქალურ ერთგულებას, სინაზეს, სიწმინდეს, კდემამოსილებას, თბილ ურთიერთობას დედამთილთან, ოჯახის სხვა წევრებთან, სტუმართმოყვარეობას, კარგ დიასახლისობას, ყოველივე ეს ჩვენს წინაპრებში იყო...

ჩემს ცნობიერებაში ბებიის ნაქონი მზითვის სკივრიც ამოტივტივდა, ბავშვური ცნობისმოყვარეობით რომ ვათვალიერებდი ხოლმე. სკივრში ბებიას სასოებით ჰქონდა შენახული ყმაწვილქალობისდროინდელი სამახსოვრო ნივთები. ყველაზე მეტად ძველებური სარკე მოგვწონდა. ბებია იტყოდა ხოლმე, ეს ჩემი ნამზითვი სარკე 9 სიმღერას უკრავდაო.

**— ერთი ადამიანისათვის ასეთი წიგნის გამოცემა, მით უფრო, დღევანდელ პირობებში, ძალზე ძნელია.**

— წიგნის იდეა პირველად ჩემს დას დალი ბარათაშვილს გავაცანი. იგი პროფესიით ისტორიკოსია. მუშაობდა უნივერსიტეტში, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რაც ძალზე დაგვეხმარა მასალების მოძიებაში. იგია წიგნის რედაქტორი.

წიგნის იდეა მრავალი წლის განმავლობაში მაწვალებდა. ჩემს ცნობიერებაში, გონებაში იწერებოდა. ასე რომ, ამდენი წლის ნაფიქრი ერთ ზამთარში დაიწერა. სამუშაო იყო შრომატევადი, მაგრამ ალმაფრენის მომცემიც. ბევრი ღამე გავათენეთ მუშაობაში.

ჩვენს გვერდით იყო წიგნის მხატვარი, ჩემი მეგობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ლუიზა ჭიკაძე. წიგნი დაგვიმშვენა მისმა გრაფიკულმა ნამუშევრებმა. იგი ჩვენთან ერთად თავდაუზოგავად მუშაობდა. იმ დღეს, ლიტვაში რომ უნდა გავფრენილიყავით, სადაც წიგნი დაიბეჭდა, კომპიუტერული ცენტრიდან დილის ექვს საათზე გამოვედით. 7 საათზე კი აეროპორტში უნდა ვყოფილიყავით...

**— ახლა, როცა მუშაობა გასრულდა, კმაყოფილი ხართ, თუ უკმარისობის გრძნობაც გაგიჩნდათ. მე, მაგალითად, მესაკლისება ზოგი ისეთი მასალა, რომელიც თითქოს საგანგებოდ ამ წიგნისთვისაა შექმნილი...**

— „მზითვის წიგნს“ ერთი მთლიანი ფაბულა და სიუჟეტი აქვს. იგი სიყვარულითაა დაწერილი, თითოეულ ფრაზაში ჩემი გული და სულიერება ძევს. წიგნში მრავლადაა ჩემი ლექსები და პროზაული მასალაც. არა იმიტომ, რომ სხვაზე უკეთესი მგონია, ჩემი ქალური სათქმელი კარგად მიესადაგა წიგნის შინაარს, წიგნში შევიტანე ჩვენი დიდებული კლასიკოსების ნაწერები, რომელთა წინაშეც მოწიწებით ვხრი თავს. გამოვიყენე სხვა ავტორთა წერილები, რომლებიც ესადაგებიან და აძლიერებენ წიგნის დედააზრს.

წერის პროცესში წიგნის თითეულმა თავმა მოითხოვა კომპეტენტური ავტორები. მაგალითად, მე არ მივცემდი ჩემს თავს უფლებას, მიმეცა რჩევები ფეხმძიმე ქალებისათვის, ან ბავშვის მოვლა მესწავლებინა ექიმის ნაცვლად, იყო ასეთი სხვა საკითხებიც.

წიგნის ბოლოში მივუთითე გამოყენებული ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები. მინდა მადლობა გადაგიხადოთ, ქალბატონო ნარგიზა, უშურველად რომ მომეცით უფლება გამომეყენებინა თქვენს ჟურნალში დაბეჭდილი მასალები. მადლობელი ვარ სხვებისაც.

თქვენ მეკითხებით, კმაყოფილი ვარ თუ არა მოძიებული მასალებით. შედგენის პროცესი თითქოს დამაკმაყოფილებელი იყო, თუმცა თუ წიგნის განმეორებით გამოცემის საშუალება მექნება, შეიძლება ნებისმიერი ავტორის მასალა მეორით შევცვალო, ან ჩავამატო, რაც გამომრჩა, მაგრამ რაც შეეხება წიგნის თემას და იდეას, დედააზრს, მიზანდასახულობას, უცვლელი დარჩება.

**— ვინ დაგეხმარათ წიგნის გამოცემაში?**

— „მზითვის წიგნს“ თავიდანვე ქუდბედი დაჰყვა. წიგნის იდეით დაინტერესდა საქართველოს ელჩი დსტ-ს ქვეყნებში ბატონი ზურაბ ხონელიძე. იგი ჩვენი ოჯახის ნათესავია. მან თვითონვე შემოგვთავაზა დახმარება, დაგვაკავშირა ვილნიუსში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენს ვალერი გელაშვილს. ბატონმა ვალერიმ დიდი ინტერესი გამოიჩინა ჩვენი წიგნის მიმართ. ჩათვალა, რომ „მზითვის წიგნი“ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე უნდა დაბეჭდილიყო, ამ მიზნით მიგვიწვია ვილნიუსში.

ვალერი გელაშვილი ახალგაზრდა კაცია. ჰყავს შესანიშნავი ლიტველი მეუღლე, ოთხი შვილი, რომლებსაც საქართველოს და ქართული ენის სიყვარულით ზრდის.

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მის ოჯახს შესანიშნავი მასპინძლობისათვის. სხვათა შორის, ლიტვაში ჩასული ყველა ქართველი მისი სტუმარია. იგი ხშირად იწვევს ქართული კულტურის მუშაკებს, აცნობს მათ ლიტველ საზოგადოებას.

ზემოთ მოგახსენეთ, ალბათ, განგების ნება იყო „მზითვის წიგნის“ დაბადება-მეთქი. ამასთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი მინდა გიამბოთ. ლიტვაში გამზადებული წიგნი ჩავიტანეთ. იქ თავიდან გახდა საჭირო კომპიუტერზე ტექსტის, ყოველი ნახატის, სურათის სკანირება. თან არ მქონდა ღვთისმშობლის ხატის რეპროდუქცია, რომელიც წიგნის წინა ფურცელზეა გამოსახული

გამომცემლობაში რამდენიმე სურათი შემომთავაზეს, მაგრამ ლიტველები კათოლიკები არიან და ვიფიქრე, წიგნში ისეთი ხატის სურათი არ ჩავდო, მართლმადიდებელთათვის მიუღებელი რომ იყოს-მეთქი.

წინა დღეებში დავათვალიერე ვილნიუსის ეკლესიები. ალტაცებული დავრჩი მათი სიმრავლით, სიფაქიზით, სილამაზით.

მითხრეს, აქ მართლმადიდებლური ეკლესიაც არისო. სიხარულით წავედი. ავანთე სანთლები. შემდეგ ეკლესიის მალაზიაში შევედი. საოცრად გავიხარე, როცა ვიხილე ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი; სწორედ ის, რომელსაც ვეძებდი.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ჩემს ბინაში სანთელი ავუნთე, მუხლი მოვიყარე ღვთისმშობლის ხატის წინაშე. ეს ხატი ჩვენი საგვარეულო რელიკვიაა, წინაპრების ნაქონი. სწორედ დედა ღვთისამ შთამაგონა და მიმიყვანა სასწაულთან...

აი, ასეთი შთაგონებით დაიწერა „მზითვის წიგნი“ და, ალბათ, ისიც ღვთისმშობლის ნებაა, დიდი სითბო და სიყვარული რომ ხვდება წინ.

**—დაე, გფარავდეთ დედა ღვთიხა ყოველ საერო და საზეო საქმეში!**

**ესაუბრა ნარგიზა მგელაძე**

# იმკურნალეთ ფერებით

ცისარტყელას ჯადოსნურ ფერებს, ენით აუწერელი სილამაზის გარდა, კიდევ ერთი საოცარი თვისებაც გააჩნიათ, ყოველი ფერი თავისთავად მკურნალია:

**წითელი:** აყუჩებს წელისა და მუცლის ტკივილს, კურნავს გაციებას, ძლიერ დამწვრობას და ხსნის მყესების დაჭიმულობას.

**ყვითელი:** ძალიან ამშვიდებს თირკმელებს, ებრძვის საჭმლისადმი ალერგიას, გეხმარებათ მელანქოლიისაგან თავდაცვაში.

**იისფერი:** დაგავიწყებთ თავის ტკივილს, მოგიხსნით უძილობას და მავნე ჩვევებს.

**მწვანე:** კარგია მაღალი წნევის დროს, აუმჯობესებს მხედველობას და დაგეხმარებათ ზედმეტი წონის დაკლებაში.

**ლურჯი:** აუმჯობესებს კოორდინაციის უნარს და აწყნარებს ფეხის სპაზმებს.

**ცისფერი:** აქვეითებს ჰიპერაქტივობას, კურნავს ყელის ტკივილს და მზით დამწვრობას.

**ვარდისფერი:** აწყნარებს გულს, წმენდს სისხლს და შველის ასთმას.

**ყავისფერი:** უებარია დიაბეტიანებისათვის. ამკვრივებს ძვლოვან სისტემას.

**შავი:** ძალას მატებს კუნთებს და ამშვიდებს ნერვებს.

**თეთრი:** აყუჩებს კუნთების ტკივილს, წმენდს ორგანიზმს.

**ნაცრისფერი:** კარგია სიმსივნისკენ მიდრეკილთათვის, აწესრიგებს საჭმლის მონელებას.

რევაზ მიშველაძე

# ყოველი ქალი დამნაშავეა

ვუძღვნი ალეკო მიქაბერიძეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი კარლო ფაჩულია

ბედნიერი ხალხი ხართ თქვენ — მწერლები, ბატონო რევაზ. მარტო იმიტომ კი არა, თქვენი ნახელავი საორდღისო რომ არ არის და, შეიძლება საუკუნეებსაც კი შერჩეს, იმიტომაც, რომ თქვენ ადამიანს უპირატესად სიკეთის სარკმლიდან ხედავთ. ახლა ჩემი მდგომარეობა წარმოიდგინეთ; ვიკითხე მთელი ღამე, ვთქვათ, კონსტანტინე გამსახურდია, აგერ რომანტიკული მნათე ოქროპირი, აგერ სულმშვენიერი კონსტანტინე არსაკიძე, აგერ მომხიბვლელი და ბრძენი თამარ შერვაშიძე, აგერ ზღაპრიდან გადმოსული მზეთუნახავი და გმირი ქალი შორენა... დავხურე წიგნი გამთენიისას, დავიხურე ქუდი და სამსახურში წამოვედი. ჩემთან — მილიციის სამმართველოს უფროსთან, დღის განმავლობაში დამნაშავეთა სამყაროს ცხოვრების კადრები ცვლიან ერთიმეორეს. შემოჰყავთ ქალი, რომელიც მისი შვილისტოლა უწვერულ ბიჭებს ნარკოტიკებით წამლავს, შემოჰყავთ ქალი, რომელმაც მამამთილს თავში ნაჯახი დაჰკრა, შემოჰყავთ ქალი, რომელმაც თავის დაქალს ქვედა საცვალი მოჰპარა, შემოჰყავთ ქალი, რომელმაც დედინაცვალი გაზით გაგუდა. ქალებზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ თქვენთან — მწერლებთან, ქალი განსაკუთრებით გაიდეალებული და შელამაზებულია. და აი, ჩემი პროფესიის გადამკიდე, ცხოვრების მორევს რომ ვაკვირდები, ილუზიები ერთბაშად ქრება და ზეციდან ცოდვით სავსე მიწაზე ვეშვები. მოვდივარ ქუჩაში და ჩემი პოლიციური თვალი ქალს ისე როდი უცქერის როგორც შორენა კოლონკელიძეს და თამარ შერვაშიძეს, მკაცრმა სინამდვილემ და პროფესიამ მასწავლა ადამიანს, საერთოდ და, ამ შემთხვევაში მანდილოსანს, შევხედო, როგორც პოტენციურ დამნაშავეს. ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ, რაც დრო გადის, უფრო ეჭვიანი ვხდები. ფიცისა უფრო და უფრო ნაკლებად მჯერა და თვალთმაქცობის ელემენტებს იქაც კი ვხედავ, სადაც სხვები მხოლოდ ბაჯაღლო სიწრფელეს ხედავენ.

ურთულესი ბუნების არსებაა ქალი, ბატონო რევაზ, ქალი რომ არ მოიფიქრებს და არ ჩაიდენს, ისეთი რამ არ არსებობს, ამ გარეგნულად სათნო ქმნილებას სფინქსირებული იდუმალება აქვს და უკიდეგანო ფანტაზია.

ერთ ძველ ამბავს გიამბობთ, იგი ჩემს წინაპარს შეემთხვა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს. ასე რომ, კაი ასი წლის ამბავია.

ბაბუაჩემის ბაბუის ბიძა — კოტე მიქაბერიძე, ჩვენი გვარის გენეალოგიურ ხეზე მარჯვენა, საკმაოდ მსხვილ ტოტს რომ აგვირგვინებს, ფოთში ცხოვრობდა. ორმოცს მიღწეული, დაოჯახებული, არც თუ ყმაწვილი იყო (შეცდომა, თუ ამას შეცდომა ჰქვია, სიყმაწვილით რომ გავამართლოდ) მაშინ, როცა ეს ამბავი შეემთხვა.

ქალაქის თავის საარჩევნო კომპანიაა გაშლილი ფოთში. ქალაქის თავს ვინმე ზუმბაძეს, დღედღეზე ვადა გასდის. ისეა საქმე, რომ ზუმბაძეს, ალბათ, გადაირჩევენ. უხეში და ტლანქი კაცია. რა თქმა უნდა, რუსეთის დამქაში და კოლონიური პოლიტიკის გამტარებელი. ამიტომაც ხალხს არ უყვარს. ქალაქის თავობის ერთადერთი რეალური კანდიდატი კოტე მიქაბერიძეა. პეტერბურგში განსწავლული საზღვაო ინჟინერი, ენაწყლიანი და ლმობიერი გულის პატრონი. კოტე, რომ იტყვიან, საყოველთაო სიმპათიით სარგებლობს. ზუმბაძემ, რომელსაც როგორც სიკვდილი, ისე ფოთის ქალაქის თავის სავარძლის მიტოვება არ სურს, ეს ყველაფერი კარგად იცის და ცოფსა ჰყრის. რა ხერხს არ მიმართა, საშიში მეტოქე რომ ჩამოეცილებინა, მაგრამ ამაოდ. კოტე იმხანად ნავსადგურმშენის საქციო საზოგადოების თავმჯდომარე იყო და თან ფოთის თევზჭერასაც ხელმძღვანელობდა. ხან კონტრაბანდა შეუგზავნა, ხან საიდუმლო პოლიციის აგენტის გარიგებით, ერთი ბრძენი მისიონერის ხელით ქრთამიც კი შეაძლია, მაგრამ ვერ იქნა და ვერა — ძელქვასავით მაგარი და პატიოსანი მიქაბერიძე მახეში ვერ გაება.

დღეები გარბიან, სასოწარკვეთილი ზუმბაძე დღედაღამ ფიქრობს კოტე მიქაბერიძის კომპრომეტირების გზასაშუალებებზე და ბოლოს მიაგნო, როგორც იქნა.

კოტეს ქალაქის თავმა თავისი ცოლი მიუგზავნა.

ზის თავის კანტორაში ერთ მშვენიერ დღეს კოტე, მოახსენებენ —ეტლით მოსული მაღალი წრის, ხელმარაოიანი, ჩაპენსნე — ჩამაქმანებული ლამაზი ქალი გკითხულობთო. კოტე ეტლს გაეგება, რასაკვირველია, იცნო ქალაქის თავის მეუღლე, ხელი გაუწოდა. სტუმარმაც ნაზად დააყრდნო თავისი თეთრი ფუნჩულა თითები და ეტლიდან ციმციმ ჩამოხტა. იგი ნახევრადრუსი და ნახევრადქართველი, რომელიღაც სამურზაყანოელი, ვაჭრის ქალიშვილი იყო, გვარი ვიცოდი, მაგრამ გადამავიწყდა.

ქალმა კოტეს კაბინეტში შეთქმულივით მიმოიხედა, ხომ არავინ გვისმენსო და აჩიკჩიკდა; მეო, წელიწადზე მეტია გაგიჟებით მიყვარხარო, ჩემი ბაიყუში ქმარი მძულსო. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ისე მიდის საქმე, რომ მალე შეიძლება სულ მოვშორდეთ აქაურობას და იცოდე, შენგან ხელნაკრავი თავს არ ვიცოცხლებო.

ქალი ვის არ უყვარს, მაგრამ კოტე მიქაბერიძე, თურმე, ამ საქმეშიც მეტად თავდაჭერილი კაცი იყო.

„მოიცა, შე ქალო, დამშვიდდი, რანაირად, როგორ, ხომ იცი ორივენი ღმერთთან ფიცით ვართ შეკრული ჩვენ-ჩვენი ოჯახების სიწმინდის დაცვაზე, როგორ გამოვა ეგ ამბავიო“.

ქალი, ხომ იცი, ეშმაკზე ორი კვირით ადრეა გაჩენილი, უარის გაგონებაც არ სურს. თუნდაც ერთხელ შენს მკლავებში განაბვა თუ არ მეღირსა, ჩამომხრჩვალს მიპოვნიან ჩვენი ბაღის მაგნოლიაზეო. მეო, ყველაფერი გაზომილ-აწონილი მაქვსო. ხვალ თბილისიდან მეფისნაცვლის პირველი თანაშემწე ჩამოდის ხე-ტყის სარეწების დასათვალიერებლად, ჩემი ქმარი მთელი ღამე შინ არ იქნება და ამა და ამ საათზე გელოდებიო.

ქალის ცრემლი ქვას ალბობს, ბატონო, და, გატყდა კოტეც. ვაჟკაცია, ქალს ვერ ჰკრა ხელი.

მივიდა მეორე დღეს დათქმულ დროზე. კარი თვითონ ქალაქის თავის ცოლმა გაუღო. სსუო, ტუჩებზე ხელი მიაფარა. მარჯვნივ ოთახში მოსამსახურე ქალი აუთოებს და არ შეგნიშნოსო. ფეხაკრეფით შეიყვანა საწოლ ოთახში. აბა, გავიხადოთ და ჩავწვეთ, ჩემო გვრიტუნი, ვერ ვითმენ უშენობასო. გაიხადა კოტემ (ქალიც ეხმარება) აზიაცკ-ჩექმები და გალიფე შარვალი. უეცრად გადახედა ქალმა გაწყობილ საწოლს, ჩემი ქმრის სარეცელთან უსიამოვნო მოგონებები მაკავშირებს, სხვა საწოლ ოთახში გავიდეთო. მოჰკიდა ხელი და ქურდულად, ფეხაკრეფით მიჰყავს სხვა ოთახისაკენ. კოტე მიქაბერიძეს ცალ ხელში ჩექმები და შარვალი უჭირავს, მეორე სატრფოსთვის ჩაუვლია და პიწკად, ნაზად მიჰყვება „სხვა ოთახისაკენ“.

სიბნელეა. შენ აქ დამელოდე... სანთელს შემოვიტანო, ქალმა. წამიც და სასტუმრო ოთახი განათდა.

როგორ ფიქრობთ, რა ხდება. სავარძლებში სხედან მეფისნაცვლის თანაშემწე, ქალაქის თავი ზუმბაძე, ფოთის პოლიცმეისტერი, საიდუმლო პოლიციის შეფი და სამიოდე მაღალი ჩინის ხმოსანი.

დგას კოტე მიქაბერიძე ფეხშიშველა, ნიფხვისამარა, ჩექმებით და გალიფე-შარვლით ხელში. ქალმა ყასიდად „აჰო!“ ერთი ნაზად შეჰკივლა, სანთელი შანდალზე დაამაგრა და გავიდა.

— რას მივაწეროთ, ბატონო კოტე, თქვენი ამაღამდელი სამასკარადო მოკამზმულობა-სტუმრობაო, მშვიდად ჰკითხა ზუმბაძემ.

.... მეორე დღეს კოტე მიქაბერიძემ სახლი ჩალის ფასად გაჰყიდა, გუდა-ნაბადი აიკრა და იმის შემდეგ ფოთში აღარ გამოჩენილა.



# ილევ

მაგიდაზე გადაშლილი როლია, იქვე ლექსები, მოთხრობები, მისთვის აუცილებელი საინტერესო მასალა. სამუშაო დღე დილით ადრე იწყება და გვიან ღამით მთავრდება. არ იცის დაღლა, ინერტულობა.

ბედნიერად თვლის სცენასა თუ გადასაღებ მოედანზე ყოფნას. სულერთია — კინოფილმში მთავარი როლი ექნება თუ — ეპიზოდური. გრამფირფიტების ჩაწერაზეც იხმობენ, არც ტელევიზია ივიწყებს.

საქართველოს სახალხო არტისტის გიორგი გეგეჭკორის ოჯახი თეატრით სუნთქავს. ვაჟი გიორგი მხატვარი — ფერმწერია, ქალიშვილი მანანა — თეატრმცოდნე, ფსიქოლოგი, მეუღლე ნათელა ურუშაძე — თეატრმცოდნე, პროფესორი. ბინის კედლებს ბევრი ცნობილი მხატვრის ნამუშევარი ამშვენებს, ალექსანდრე ბანძელაძის ნახატი“ გიორგი გეგეჭკორი ნიკოლოზ ბარათაშვილის როლში“, გიორგი უმცროსის „მამა გლოსტერის როლში“ და სხვ.

გიორგი გეგეჭკორი მეთოთხმეტე საშუალო სკოლაში სწავლისას გამოჩნდა სცენაზე და თეატრით „მოიწამლა“.

1940 წელს კი თეატრალურ ინსტიტუტს მიაშურა. მიიღეს. მეტყველების დიდოსტატი მალიკო მრევლიშვილი ნიჭიერ ახალგაზრდას მხატვრული აზროვნების განსაკუთრებულ უნარს ამჩნევდა. მსახიობის ოსტატობას რეჟისორი დოდო ალექსიძე უკითხავდა. სტუდენტურ სპექტაკლში (ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“) ნეზნამოვის როლით ჭაბუკის ნიჭიერება ყველასთვის ნათელი გახდა.

თეატრალური ინსტიტუტიდან რუსთაველის თეატრში მიიწვიეს და ორმოცდაათი წელია სცენიდან არ ჩამოსულა. მისი დებიუტი შედგა ა. ოსტროვსკის პიესაში „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“ (რეჟისორი დ. ალექსიძე), სადაც სატირული ფერებით გლუმოვის როლი გააცოცხლა. თეატრში ნოდარ წულეისკირის მოთხრობის მიხედვით „ძველი სამრეკლო“ დაიდგა, რომელშიც პანტე ჯაავას მთავარი როლი ოსტატურად შეასრულა. ეს სპექტაკლი წლების მანძილზე რუსთაველის თეატრის რეპერტუარს ამშვენებდა.

აკაკი ხორავასა და აკაკი ვასაძის შემდეგ სერგო ზაქარიაძისა და სხვათა გვერდით დაიმკვიდრა სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი როლები

გიორგი გეგეჭკორის შემოქმედებითი პალიტრა მრავალფეროვანია. მის მიერ შესრულებულია ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ასზე მეტი როლი. მსახიობი მუდამ ძიებაშია. ახალი გამომსახველობითი ხერხების პოვნა მისთვის მთავარია. მან ბრწყინვალე სახეები შექმნა, მაგრამ მაყურებელმა მისი ბარათაშვილი განსაკუთრებული გრძნობით შეიყვარა.

როცა ბარათაშვილს ვთამაშობდი, — იგონებს გიორგი, — ჩვეულებად დამჩემდა: სპექტაკლის დღეს, მწუხრისას თეატრის ნაცვლად ქაშუეთისკენ გადავუხვევდი, ყოფილი სასამართლოს და განჩინების პალატის პირდაპირ წუთით შევჩერდებოდი, სადაც საუკუნის წინ ეკატერინე ჭავჭავაძის მაყრიონმა ჩაიარა, სადაც უბედობას უჩიოდა „გალიაში გამომწყვდეული ბულბული — ტატო ბარათაშვილი".

პრემიერა შედგა. 1949 წლის 2 ივლისს ოპერის თეატრში ნიკოლოზ ბარათაშვილის სცენიურმა სახემ ნათლობა მიიღო (რუსთაველის თეატრში ხანძარმა სპექტაკლის დადგმა დროებით შეაფერხა). ეს იყო ნამდვილი შემოქმედებითი გამარჯვება. გიორგიმ ათი წლის მანძილზე ბარათაშვილი ორასჯერ განასახიერა. საქართველოს რაიონები მოიარა. მსახიობი თვალებანთებული პოეტის პირადი წერილებისა და ლექსების კითხვით მაყურებელში უნაზეს გრძნობებს აღვიძებდა და მათ სულს იპყრობდა. მსახიობი მაშინ 26 წლისა იყო, ჰქონდა შესანიშნავი ხმა და მეტყველება. ფანტასტიურად ჟღერდა ტატოს მონოლოგები, „გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი". მკაფიოდ ისმოდა მსუბუქი, ნაღვლიანი, მეოცნებე მსახიობის ხმა და მაყურებელში ბარათაშვილი ცოცხლდებოდა.

მაყურებელს უყვარს გიორგი. ყოველთვის ინტერესით ელოდება მის გამოჩენას სცენაზე, რადგან სწამს მისი. შეუდარებელი ოსტატობისა, დახვეწილი სამსახიობო ტექნიკისა და მაღალი პროფესიონალიზმის გამო იგი შეუდარებელი პარტნიორია. ცხოვრებაში უბრალო, ნაღდი პიროვნება და სცენაზე ნამდვილი პროფესიონალი, — ასეთია იგი.

დაუვიწყარია მისი ერთიმეორის საპირისპირო, ჰეროიკული, რომანტიკული, მგზნებარე გმირები: დონ სეზარ დე ბაზანი, ტრაგიკული ჰამლეტი თუ გლოსტერი, პლატონ სამანიშვილი. აი, მისი ფართო დიაპაზონი. მისმა პერსონაჟებმა დროის გამოცდას გაუძლეს. დრომ და ხალხმა — ყველაზე მკაცრმა მსაჯულმა აღიარა იგი.

ნიჭიერ მსახიობს დიდ ყურადღებას უთმობდნენ სხვადასხვა შემოქმედებითი სტილის რეჟისორები დ. ალექსიძე, გ. ტოვსტონოგოვი, აკ. ვასაძე, მ. თუმანიშვილი, აკ. დვალიშვილი, რ. სტურუა, თ. ჩხეიძე.

თ. ჩხეიძის სპექტაკლში „ჩემო კალამო" გიორგიმ „მგზავრის წერილების" პერსონაჟებს შეასხა ხორცი. „ჭინჭრაქაში" განუმეორებელი კომედიური ნიღბით მგელი განასახიერა.

„პირველ ნაბიჯში" ბახვა ფულავა ითამაშა (რეჟისორი დ. ალექსიძე).

ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში" — გაიოზ გადალენდია.

სერბიელი დრამატურგის ბ. ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორში" — ბლაგოი — პოლიციის ყოფილი აგენტი. კოჰოუტის პიესაში „როცა ასეთი სიყვარულია", სიმბოლური სახე — „კაცი მანტიით" წარმოაჩინა.

როგორ პოულობს მსახიობი კომედიურ ფერებს მისი პლატონის, ექვთიმე ქათამაძის, თომა ჩუკაკიძის, მგლის მხატვრული სახეების შესაქმნელად? ფაქიზი იუმორით, გროტესკით, იმპროვიზაციის უნარით, უზადო ზომიერებითა და კულტურით. ასეთია ნაირსახეობა გიორგი გეგეჭკორის შემოქმედებითი პალიტრისა. მიხეილ თუმანიშვილი ასეთ შეფასებას აძლევს დიდებულ მსახიობს: „მისი გმირები, ყოველ შემთხვევაში საუკეთესონი მათ შორის, ცხოვრების წიაღში არიან შობილნი, ისინი სწორედ ცხოვრებიდან გამოჰყავდა მსახიობს სცენაზე და მათი დაბადება ყოველთვის დღესასწაული იყო თეატრისათვის".

ბ-ნმა გიორგიმ 1990 წელს ქვემო ქართლში, კერძოდ დმანისში ქართული თეატრის დაარსებაში მიიღო მონაწილეობა და დღემდე აგრძელებს იქ მოღვაწეობას.

გიორგი აქტიურად მონაწილეობს რადიო-კინოტელე სპექტაკლებში. გახმოვანებული აქვს მრავალი კინოროლი. ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია. მან ოცდაათზე მეტ ფილმში ითამაშა. მას იწვევენ სხვადასხვა ქვეყნის სტუდიებში.

თეატრისა და კინოხელოვნების განვითარებაში, მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, სახელმწიფო და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი გეგეჭკორი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

75 წელი ჭარმაგობის ასაკია. ახალი შემოქმედებითი მწვერვალების დაპყრობა ჯერ კიდევ წინაა.

**ეთერ ჯაფარიძე**





# თოვლიან ღამეში მივდიოდი, ჩემი წერილი რომ წაეკითხა

საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, პროფესორს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, უკრაინის თეატრალური საზოგადოების პრემიის ლაურეატს ქალბატონ ნადია შალუტაშვილს ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს, როგორც ქართული კულტურის მოღვაწეს, ქართულ თეატრმცოდნეობაში მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორს. სულ ახლახან ის ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. ქ-ნ ნადიას წინასწარ ვულოცავთ მოახლოებულ იუბილეს და მკითხველს ვთავაზობთ მასთან საუბარს:

**— ქ-ნო ნადია, თქვენი პირველი შეხვედრა თეატრთან.**

— ბავშვობა ბორჯომში გავატარე. ბორჯომში სცენის მოყვარულთა თეატრი იყო. ჩვენი მასწავლებელი ქეთევან ყენია ძალიან გატაცებული იყო თეატრით, ბორჯომის კლუბში მართავდა წარმოდგენებს. ერთხელ მეც მივიღე მონაწილეობა. ქართულ კაბაში გამოწყობილმა, თავზე ჩიხტიკოპით, აკაკი წერეთლის ლექსი „ივანანა" წავიკითხე. მამაჩემი სცენისმოყვარეთა თეატრის მსახიობი იყო. დედით უკრაინელი ვარ, ამიტომ უკრაინულ კოსტუმში გამოწყობილი დიდი ხალისით ვცეკვავდი უკრაინულ ცეკვებს.

ბორჯომში ხშირად ეწყობოდა სიმფონიური საღამოები, რომელსაც უდიდესი ქართველი დირიჟორი ევგენი მიქელაძე მართავდა. მახსოვს, რუსთაველის თეატრში პირველად ვნახე სანდრო ახმეტელის მიერ დადგმული სპექტაკლი „რღვევა". მეხსიერებაში დამრჩა ბერსენევის როლის შემსრულებელი აკაკი ხორავა, რომელიც გემბანზე იდგა. რა ვიცოდი მაშინ, რომ შემდგომში აკაკი ხორავა ჩემი მეგობარი გახდებოდა. მაშინ თბილისში ძალიან პოპულარული იყო მუსიკალური ხელოვნება, ოპერები, რომლებსაც ხშირად ვესწრებოდი. თბილისში საგასტროლოდ ჩამოდიოდნენ: ლემეშევი, პირაგოვი, კოზლოვსკი. ომამდე ჩვენი ოპერის თეატრში მუშაობდნენ დირიჟორი პაულ-პელა და მისი მეუღლე ელზა მიუსელი. კონსერვატორიის მცირე დარბაზში იმართებოდა კლასიკური მუსიკის საღამოები რიხტერის, დორლიაკის და სხვათა შესრულებით.

**— როგორ მოხვედით თეატრმცოდნეობაში?**

— 1944 წელს თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე მიღება გამოცხადდა. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ (რუსული ენა და ლიტერატურა), გადავწყვიტე თეატრმცოდნეობას დავვუფლებოდი. როცა თეატრალურ ინსტიტუტში ჩემი მიზანი გაიგეს, სტუდენტად კი არა — ლაბორანტად მიმიღეს. დავიწყე მუშაობა. ჩემს სპეციალისტად ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს მამის მეგობრებმა, ბატონებმა სერგო გერსამიამ და გუგული ბუხნიკაშვილმა, შემდგომში ბატონმა დიმიტრი ჯანელიძემ, ქართული თეატრმცოდნეობის პატრიარქმა. მაშინდელი ინსტიტუტი ქართული სამეცნიერო სკოლა გახლდათ, არამარტო თეატრის, არამედ ჰუმანიტარულ დარგშიც. ინსტიტუტს ამშვენებდნენ ბატონები: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, აკაკი ფაღავა, რევაზ ნათაძე, დოდო ალექსიძე, გიორგი ტოვსტონოგოვი, კოტე მეღვინეთუხუცესი, მალიკო მრევლიშვილი, ვალენტინა გამსახურდია, ვახტანგ ბერიძე, პავლე ხუჭუა, კოწო ბადრიძე, პარმენ ზაქარაია, ლეო რჩეულიშვილი, აკაკი გაწერელია და სხვანი.



ნადია შალუტაშვილი (ცენტრში) ცნობილ უკრაინელ მსახიობებთან და თეატრმცოდნეებთან



ნადია შალუტაშვილი და აკაკი ხორავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი პირველი საგაზეთო წერილი 1945 წელს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდა, სათაურით «Горе от ума» на грузинской сцене 29 февраля 1886 года в Кутаиси». მახსოვს, როგორ ვღელავდი. თოვდა, როცა გაზეთის რედაქციაში მივდიოდი, რათა დამენახა, როგორ აკრავდნენ ქუჩაში სტენდზე გაზეთს და წამეკითხა ჩემი პირველი წერილი.

პირველი ლექცია სოფოკლეს შესახებ წავიკითხე. აკაკი ფაღავა ჩუმად, კარის ღრიჭოდან მისმენდა. ასე დაიწყო ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა თეატრალურ ინსტიტუტში. ძალიან მაინტერესებდა ქართული თეატრის ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნების თეატრებთან. ამაში კი ხელი ბატონმა აკაკი ხორავამ შემიწყო. მან 1955 წელს გამაგზავნა უკრაინაში თეატრალური საზოგადოების ყრილობაზე, შემდეგ ცნობილი უკრაინელი მსახიობის მარკ კრაპივნიცკის იუბილეზე და აქედან დაიწყო ინტენსიური მუშაობა ურთიერთობებზე. ჩემი სადოქტორო დისერტაციაც „ქართულ-უკრაინული თეატრალური ურთიერთობები“ იყო. მანამდე კიევში დამიკვეთეს წიგნი „Страницы великой дружбы“, რომელიც იქვე გამოიცა 1966 წელს. ინსტიტუტში ჩამოვაყალიბე მოძმე ხალხთა თეატრის ისტორიის კურსი და შემდეგ კაბინეტი. ყოველი მეცნიერება სიზუსტეს მოითხოვს, მის დასაცავად კი უდიდესი ენერგიაა საჭირო. ასე დავადგინე სასამართლო ექსპერტების დახმარებით გიორგი ერისთავის დაბადების თარიღი. ასევე მომიხდა ილია ჭავჭავაძის თექვსმეტი ხელმოუწერელი თეატრალური წერილის გამოკვლევა, რითაც დადგინდა, რომ ეს წერილები ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა.

21118

**— რას გვეტყვით თქვენს შეხვედრებზე ცნობილ მეცნიერებთან?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ვხვდებოდი ქართველ მეცნიერებს, ჩემს პედაგოგებს გრიგოლ წერეთელს, შალვა ნუცუბიძეს, გიორგი ახვლედიანს, მიხეილ ზანდუკელს. შალვა ნუცუბიძის ხმა ახლაც ჩამესმის, მის მიერ წაკითხული დანტე, ბოკაჩო. ეს მარტო ცოდნა კი არა, საორატორო ხელოვნება და არტისტიზმიც იყო. ერთხელ ვიღაცას დაფაზე დაეწერა „жениться“ ы-ის გამოყენებით, შეხედა და თქვა „кто-то очень твердо решил жениться“, ერთხელ ავიდა კათედრაზე და თქვა „ამ კათედრასავით ყანყალებს ზოგიერთი ჩვენი მოღვაწე“. საოცრად ენამოსწრებული და გონებამახვილი ადამიანი იყო. მიხეილ ზანდუკელის ლექციებზე ძალიან მიყვარდა დასწრება. საქმე იქამდე მივიდა, რომ ასპირანტურაში ჩაბარება შემომთავაზა, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი რომ გავმხდარიყავი. მანამდე ქართულ ენასა და ლიტერატურას ვეუფლებოდი თბილისის მე-8 სკოლაში ცნობილი პედაგოგის ბაბო მჭედლიძის თაოსნობით, მაგრამ როგორც ხალხის მტრის შვილი ასპირანტურაში არ ჩამრიცხეს.

**— რას უსურვებთ ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციას?**

— წლების მანძილზე ვიყავი ჟურნალის რედკოლეგიის წევრი და არაერთი საინტერესო შეხვედრის მონაწილე. ამიტომ ძალიან მიყვარს ჟურნალი „საქართველოს ქალი“ და ხანგრძლივ შემოქმედებით სიცოცხლეს ვუსურვებ მას. მიხარია, რომ პრესისათვის ძნელბედობის ხანაში (ვგულისხმობ ფინანსურ მხარეს) ჟურნალი მაინც ახერხებს გამოსვლას და კვლავ ახარებს ერთგულ მკითხველთა გულებს.

**საუბარი ჩაიწერა**
**თეატრმცოდნე დავით სოლომონიშვილმა**

## ტესტი

# როგორ გაქვთ ნერვების საქმე?

სტრესი — ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ნიშანია. ჩვენ არაიშვიათად ვავადდებით იმის გამო, რომ მუდმივი და გადაჭარბებული ნერვული გადატვირთვა გაღიზიანებულს, ფეთქებადს და ნერვულს გვხდის. რა რეაგირებას ვახდენთ იმაზე, რაც ჩვენ გვაღიზიანებს?

შეგვიძლია ვფლობდეთ თავს კრიტიკულ მომენტში? ამის გარკვევაში დაგეხმარებათ ტესტი.

პასუხი ნებისმიერ კითხვაზე: „დიახ“, (5 ქულა), „არც ისე“ (3), „არა“ (0).

თუ გაღიზიანებთ:

— გაზეთის დაჭმუჭნილი გვერდი, რომლის წაკითხვა გინდათ.

— ქალიშვილივით ჩაცმული ასაკოვანი ქალი.

— თანამოსაუბრის მეტისმეტი სიახლოვე ტრანსპორტში.

— ქალი, რომელიც ქუჩაში ეწევა?

— თუ ვინმე ახველებს თქვენ სიახლოვეს?

— როცა ვინმე ფრჩხილებს იკვნეტს?

— როცა საყვარელი ცოლი (ქმარი) ხშირად იგვიანებს?

— როცა კინოთეატრში თქვენს წინ მჯდომი ყოველ წამს წრიალებს და კომენტარს უკეთებს ფილმს?

— როცა ცდილობენ მოგიყვენ იმ წიგნის შინაარსი, რომლის წაკითხვასაც ეს-ესაა აპირებთ?

— როცა გჩუქნიან თქვენთვის არასაჭირო ნივთს?

— ხმამაღალი საუბარი საზოგადოებრივ ტრანსპორტში?

— სუნამოს მძაფრი სუნი?

— გადაჭარბებული ჟესტიკულაციით მოსაუბრე ადამიანი?

— კოლეგა, რომელიც საუბრისას ხშირად იშველიებს უცხო სიტყვებს?

### ქულათა შეჯამება

**ორმოცდაათ ქულაზე მეტი:** თქვენ არ მიეკუთვნებით მშვიდ და მომთმენ ადამიანებს, ყველაფერზე ღიზიანდებით, მცირედზეც კი. შეგიძლიათ ადვილად გაცხარება და წონასწორობის დაკარგვა. ამის გამო იძაბება თქვენი ნერვული სისტემა, წუხდებიან თქვენს გარშემო მყოფნი.

**თორმეტიდან ორმოცდაცხრა ქულამდე:** მიეკუთვნებით ყველაზე გავრცელებულ ადამიანთა ჯგუფს. თქვენ გაღიზიანებთ მხოლოდ ყველაზე არასასიამოვნო რამ, მაგრამ არ ქმნით ტრაგედიას ადამიანური ნაკლის გამო. შეგიძლიათ საკმაოდ იოლად დაივიწყოთ მრავალი უსიამოვნება.

**თერთმეტი და უფრო ნაკლები ქულა:** თქვენ ძალიან მშვიდი ადამიანი ხართ და რეალურად უყურებთ ცხოვრებას, მაგრამ შეიძლება მთლად ასეც არ იყოს. ამ ტესტმა იქნებ ვერ შესძლო, აღმოეჩინა თქვენი ყველაზე ნაკლოვანი მხარეები. ასეა? ყოველ შემთხვევაში, თქვენზე დაბეჭითებით შეიძლება ითქვას: ის ადამიანი ხართ, ვისაც იოლად ვერ გამოიყვან წონასწორობიდან.

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიბო არც ისე საშიშია, თუ...

## შიში და ექიმბაში მხოლოდ ცუდ სამსახურს გაგიწევთ

**პროფესორ ანდრო ლვამიჩავას სახელობის ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის მამოლოგიური განყოფილების წამყვანი სპეციალისტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ლერი ბილანიშვილი ჩვენთვის საინტერესო რამოდენიმე კითხვაზე გვპასუხობს.**



**—რამდენი წელია, რაც ამ მეტად საჭირო საქმეს ემსახურებით?**

— ონკოლოგიაში 1971 წლიდან ვმუშაობ, ხოლო ოცი წელია, რაც სარძევე ჯირკვლით დავინტერესდი. ჩემი მოწოდება მხატვრობა იყო, საკმაოდ კარგად ვხატავდი და ვძერწავდი, ერთხელ ეგნატე ფიფიამ ლექციაზე გვითხრა: ქირურგს მხატვრის მოქნილი ხელი სჭირდება, კარგი დასტაქარი რომ დადგესო. ხშირად მაგონდება დიდი მეცნიერის ეს სიტყვები. ოპერაციები როგორ გამომდის, ამაზე ვერაფერს გეტყვით, ეს პაციენტებს უნდა ჰკითხოთ.

**—რატომღაც თქვენი ერთი ცნობილი კოლეგის ნათქვამი ამომიტივტივდა თავში, როცა ამ რამდენიმე წლის წინ ასეთი რამ ბრძანა: იმ ქალმა დაიკვეხნოს, ორი ათას წელს ორივე ძუძუ რომ ექნებაო. და, აი, მივუახლოვდით ამ თარიღს.**

— მართალია, სტატისტიკა არასახარბიელოა, მაგრამ საგანგაშო არაფერია, თუ ყველა ქალი დროზე მიხედავს თავს. ავთვისებიანი შეიმჩნევა ყველა ნოზოლოგიაში, აქედან ყველაზე მაღალია სარძევე ჯირკვლის პათოლოგია. ამ ბოლო ხანებში ფილტვის კიბოს მატება და გაახალგაზრდავება სიგარეტსაც უნდა დავაბრალოთ. რაც შეეხება სარძევე ჯირკვლის პათოლოგიას, მისი რისკფაქტორებია: უშვილობა, უარის თქმა ძუძუს წოვებაზე, და რეტენაცია, ე.წ. ჰორმონალური შეკავება. ქალისათვის მიზანშეწონილია თავის დროზე გათხოვება; ევროპის ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში ქალები უკეთეს პირობებში არიან — არ მუშაობენ, მათზე სახელმწიფო ზრუნავს. მშვიდი ოჯახური გარემო და ნაკლები ფსიქოლოგიური სტრესები ჯანმრთელობას უნარჩუნებს. ძუძუს კიბოთი დაავადება ნაკლებად გვხვდება მუსულმანურ ქვეყნებშიც, სადაც შობადობა მაღალია, ლაქტაცია კი — მასობრივი და ხანგრძლივი. ქალის ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით დამღუპველია აბორტი. ასევე არამიზანშეწონილად მიმაჩნია კონტრაცეპტივების გამოყენება. ვიცი, ამის გამო ბევრი კოლეგა გამინაწყენდება, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ — ის, რაც ფიზიოლოგიურ პროცესს ხელს უშლის და ამუხრუჭებს, ტოქსიკურია და რაღაც პროცენტით ორგანიზმის მომწამლავი.

ჩვენი ქალების უმეტესობა ინფანტილურია, აკლია სანიტარულ-ჰიგიენური განათლება. უპირველეს ყოვლისა უნდა ვისწავლოთ ფეხმძიმობის დროს მკერდის მოვლა, ამისათვის არსებობს უამრავი ლიტერატურა, მივმართოთ ქალთა კონსულტაციებს, რითაც ბევრ პათოლოგიას ავიცილებთ თავიდან.

**— რას უკავშირებთ სიმსივნეების მომრავლებას, ამ საკითხზე არ შეიძლება გარკვეული აზრი არ გქონდეთ.**

— ცუდი ეკოლოგიური მდგომარეობა, ცხოვრების არასწორი წესები, ნერვული სტრესები, ფსიქიური ტრამვები, დიაბეტი, ჩიყვი, ჭარბი სიმსუქნე, მენსტრუალური ციკლის ნაადრევი ან ნაგვიანევი დაწყება (ნორმალურად 13-14 წელი ითვლება), სიმსივნის ხელშემწყობი პირობებია. ყველა ქალმა უნდა იცოდეს, რომ დამღუპველია დაუხარჯავი ჰორმონები. ქართველი ქალების შავი ლაქაა, თავის დროზე რომ არ თხოვდებიან და არ აჩენენ შვილებს. მეტი შვილი, ძუძუს წოვება სასარგებლოა ქალის ჯანმრთელობისათვის.

**— საზოგადოებაში მუსირებს აზრი, თითქოს რადიკალური ოპერაციის თავიდან აცილება შეიძლება, ე. ი. გასერვაც საკმარისია.**

—ჩვენს ონკოლოგიურ ცენტრში კეთდება ყველა სახის ოპერაცია და ისეთ დონეზე, როგორც მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. ამ კერძო შემთხვევას ექიმი წყვეტს, რა თქმა უნდა, ზუსტი დიაგნოზის საფუძველზე. უხიფათოა ულტრაბგერითი გამოკვლევა, შესაბამისი აპარატურა დგას რესპუბლიკის სხვადასხვა დაწესებულებაში — დიაგნოსტიკურ ცენტრში, პოლიკლინიკებში. ნახევარ სანტიმეტრამდე წარმონაქმნის გამოკვლევა ადვილია. 35 წლამდე ქალებში ვერიდებით მამოგრაფიას, კიბოსწინარე უამრავი დაავადებაა სარძევე ჯირკვალში, რომლის დროული გამოკვლევა ჯანმრთელობის სრულ გარანტიას იძლევა. ზოგიერთი ავადმყოფი იმის შიშით, რომ ოპერაცია არ დასჭირდეს, ექიმბაშებთან დადის, ან თვითმკურნალობას იტარებს, რაც საბოლოოდ საბედისწერო შედეგით მთავრდება. როცა ორგანოს შემანარჩუნებელ ოპერაციას ვაკეთებთ, სიმსივნე ორ სანტიმეტრს არ უნდა აღემატებოდეს. ამ შემთხვევაში შეიძლება თავიდან ავიცილოთ რადიკალური ოპერაცია. ერთი რამ კი უნდა ახსოვდეს ექიმსაც და პაციენტსაც, ორგანოს შენარჩუნებამ მსხვერპლი არ უნდა მოგვიტანოს. ჩვენს კლინიკაში ოპერაციიდან ერთი წლის შემდეგ მოკვეთილი მკერდის პლასტიკური ოპერაციაც კეთდება.

**— ბატონი ლერი, მომისმენია, რომ სარძევე ჯირკვლის ოპერაცია გააკეთეთ და პარალელურად ხელოვნურად შეუწყვიტეთ მენსტრუალური ციკლი პაციენტს. რა მეთოდია ეს და როდის მიმართავთ მას?**

— ამას ხელოვნური დაბერება ჰქვია. ოპერაციული წესით, ხელოვნურად ვწყვეტთ მენსტრუალურ ციკლს, ორივე საკვერცხეს ვკეტავთ, გადაგვყავს პაციენტი მენოპაუზში, რადგან კიბო ხანდაზმულებში ნაკლებად აგრესიულია, ვიდრე ახალგაზრდებში.

**— მარტივად რომ გთქვათ, რა უნდა იცოდეს ქალმა პროფილაქტიკის მიზნით, რომ არ გამოეპაროს მკერდის კიბო?**

— უნდა დადგეს სარკის წინ. მარცხენა ხელი დაიდოს თავზე და მარჯვენა ხელის გულით დაითვალიეროს მარცხენა ძუძუ, ასევე გაიმეოროს მეორე მხარეს. ძირითადად პაციენტები თვითგასინჯვის შემდეგ მოდიან ჩვენთან. მინდა გავუმეორო მკითხველს, დროულად აღმოჩენილი, ნებისმიერი პათოლოგია სიცოცხლის სრულ გარანტიას იძლევა. დროდადრო ამ თემაზე საინტერესო გადაცემებია რადიო-ტელევიზიით. იყო დრო, როცა ჩვენი ბრიგადები პროფილაქტიკის მიზნით ფაბრიკა-ქარხნებში, რაიონებში დადიოდნენ. ახლა ყოველივე ამას მოკლებულები ვართ ჩვენც და ჩვენი მოსახლეობაც.

**— მერე და, რა რთულია უფულო ადამიანისათვის დღეს ამ სახით ოპერაციის გაკეთება. უხეშად რომ ვთქვათ, რა ღირს ოპერაცია, ონკოლოგიური მკურნალობა თითქოს უფასო უნდა ყოფილიყო?**

— წესით და კანონით უფასოა. ექიმის შრომა ხომ მუდამ დაუფასებელი იყო ჩვენში. ერთ ოპერაციაში ქირურგს გასამრჯელოდ 15 ლარამდე ეძლევა. რეფორმა ძირითადად მედიკამენტების რეალიზაციისათვის ჩატარდა და არა პაციენტთა კეთილდღეობისათვის. მე თუ მკითხავთ, ექიმმა არ უნდა დაიცვას ჰიპოკრატეს ფიცი. მკურნალობა ფასიანი უნდა იყოს და იცით რატომ? კარგად მყოფმა ადამიანმა არ იცის ჯანმრთელობის ფასი. საჭიროა იმთავითვე გაუფრთხილდეს და უდიერად არ მოეპყრას საკუთარ თავს. წინა წლებთან შედარებით ავადმყოფთა კლება შეიმჩნევა, უსახსრობის გამო ერიდებიან ექიმთან მისვლას და იმიტომ. ქიმიოთერაპიისათვის ყველა პრეპარატი ისეთი ძვირია, ათიდან ერთიც ვერ ახერხებს მის შეძენას. იმედი მაქვს, სიტუაცია პაციენტთა სასარგებლოდ შეიცვლება. როცა სადაზღვევო კომპანიები ფეხზე დადგებიან და მომძლავრდებიან, შესაბამისად ავადმყოფთა მდგომარეობაც გამოსწორდება.

**— ბატონო ლერი, რა სიახლეებია ამჟამად მსოფლიოს წამყვან კლინიკებში ამ მრისხანე სენის დასაძლევად, აკი თითქოს 2000 წლისათვის ეს პრობლემა გადაჭრილი უნდა ყოფილიყო?**

— მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში დღესდღეობით ისევ და ისევ ექსპერიმენტული მუშაობა მიმდინარეობს, რეალური კი არაფერია, თუმცა ზოგჯერ შოუსავით გამობრწყინდება ხოლმე რაღაც, მაგრამ ამაოდ. მოსახლეობა ამ სენის შიშითაა შეპყრობილი, თუმც გულსისხლძარღვთა დაავადება კი ისევ პირველ ადგილზეა. არ უნა უფრთხოდნენ ონკოლოგებს, მოვიდნენ თავისუფლად, წელიწადში ერთხელ მაინც, ვიდრე გვიან არაა და თავად არ აღმოაჩენენ პათოლოგიას.

**— რას ურჩევთ ჩვენს ქალებს, ჯანმრთელნი რომ იყვნენ და ხანგრძლივად იცოცხლონ?**

—ქართველი ქალები ჩემთვის მუდამ სათაყვანებელი არსებანი არიან, ისინი სხვათაგან გამორჩეულნი არიან კდემით, სინაზითა და კეთილშობილებით. ვურჩევ, გათხოვდნენ დროზე, გააჩინონ შვილები, ხანგრძლივად აწოვონ ძუძუ, ჩვენ კი მუდამ გვიგულონ მათი ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

**ნანული ბუკია**

# გულმოწყალება წამალივით სჭირდება საქართველოს

**რედაქციაში ინერციით კვლავ გვაკითხავენ გაჭირვებული ადამიანები. შველას გვთხოვენ მაშინ, როცა ჟურნალის გამოსაცემად ჩვენ თვითონ სხვისკენ გვაქვს ხშირად ხელი გაშვერილი. ჩვენ ისევ ძველ ნაცნობებს ვუკავშირდებით, ვინც სოციალურ სფეროში მუშაობს, იქით ვუშვებთ გაჭირვებულებს.**

**დღეს ჩვენი რედაქციის სტუმარია თბილისის ისნის რაიონის გამგებლის მოადგილე ქალბატონი მანანა გოჩალეიშვილი.**



**ქალბატონო მანანა, თქვენთან ინტერვიუს ქათინაურით დავიწყებ, ისე მშვენივრად გამოიყურებით, ასაკი არ გეტყობათ.**

— ამ ცოტა ხნის წინ მეც თავი ახალგაზრდა მეგონა და ვფიქრობდი, სულ ასე ვიქნებოდი, მაგრამ როცა ჩემი ვაჟები 27 და 23 წლისანი გახდნენ, ახალგაზრდობა გავლილად მომეჩვენა.

**— როგორც ვიცით, შრომითი საქმიანობა სულ ახალგაზრდამ დაიწყეთ.**

— დიახ, მოსწავლე ვიყავი და უკვე ვმუშაობდი, რაც ძალიან მეამაყებოდა. დავამთავრე უმაღლესი, ასპირანტურა და შემდეგ სულ პასუხსაგებ თანამდებობებზე ვიყავი. იმ ეპოქის დასასრულს თბილისის 26 კომისრის რაიონს ვხელმძღვანელობდი, ახალი აღმშენებლობის დროიდან ისნის რაიონის გამგებლის მოადგილე ვარ.

**— რაიონში რომელ სფეროს ხელმძღვანელობთ?**

— ყველაზე მძიმე სოციალურ სფეროს. ძნელია ეს საქმიანობა, როცა არანაირი სახსარი არ გაგაჩნია. გაჭირვებულ ადამიანთა ბედი უმეტესად რაიონის პირველ პირზეა დამოკიდებული. მადლობა ღმერთს, მათ გულთან ახლოს მიჰქონდათ გაჭირვებულთა სათხოვარი და მაქსიმალურად მიწყობდნენ ხელს მათ დასახმარებლად. ასე იყო აკაკი გონგლაძისა და თემურ ჩიქოვანის დროს, ასეა ახლაც, ახალგაზრდა გამგებლის — დათო ლომაიას მოსვლის შემდეგ.

თითქმის ყოველდღე მიხდება უმწეოების, მარტოხელების, სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების წევრებთან შეხვედრა. მათი ჩივილის მოსმენა გაჭირვებაზე, უმუშევრობაზე, პურის ფულის უქონლობაზე, შიმშილსა და სიდუხჭირეზე. რაღა თქმა უნდა, ეს ძალიან მოქმედებს ჩემზე და წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარე-

ობა, როცა ვერ ვახერხებთ მათი მძიმე სიტუაციიდან გამოყვანას. გამოყოფილი თანხა იმდენად უმნიშვნელოა, ცოტა ხანს თუ შველის მათ გაჭირვებას.

გასულ წელს, თბილისობის დღეებში უფასო სასადილო გავხსენით, სადაც დღეისათვის 300 კაცი იკვებება და ამდენივე ყოველდღიურ პურს იღებს.

**— ბოლო ხანს იმატა ინვალიდ ბავშვთა რაოდენობამ. რაიმეთი მაინც თუ ეხმარებით მათ?**

— ჯანდაცვის სისტემის თვითდაფინანსებაზე გადასვლამ, პროდუქტებისა და მედიკამენტების სიძვირემ, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ყველაზე დაუცველი ფენა — ინვალიდი ბავშვები. მათ ესაჭიროებათ საკმაოდ ძვირადღირებული კომპლექსური მკურნალობა. მაგრამ ეკონომიურად გაჭირვებულ ოჯახებს, რომლებსაც არსებობისთვის ელემენტალური პირობებიც კი არ გააჩნიათ, უჭირთ მედიკამენტების შეძენა, მით უფრო, მკურნალობის სრული კურსის ჩატარება.

ამიტომ ჩემი ყოველდღიური ყურადღების ცენტრში არიან უსინათლო, მძიმე ავადმყოფი, მაწანწალა და გზასაცდენილი ბავშვები. მე, როგორც არასრულწლოვანთა კომისიის თავმჯდომარე, ზოგჯერ იძულებული ვარ, მოვწყვიტო ბავშვი ოჯახს და აღსაზრდელად სხვა დაწესებულებაში გადავაგზავნო, რათა ფიზიკურად გადავარჩინო იგი.

**— როგორია თქვენი რაიონის მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებელი?**

— ისნის რაიონის მოსახლეობის 70 პროცენტი უმუშევარია. ბევრ ოჯახში ყველა უმუშევარია ან ერთი წევრი მუშაობს და დანარჩენი სამსახურს ეძებს. ამ დროს დასაქმების არავითარი საშუალება არ გვაქვს. განსაკუთრებულ სირთულეს აფხაზეთიდან ლტოლვილი ოჯახები გვიქმნიან. დღეისათვის 9 ათასი კაცი 25 ობიექტში კომპაქტურადაა ჩასახლებული, კიდევ 20 ოჯახს უნდა გამოვუძებნოთ საცხოვრებელი ადგილი.

**—ქველმოქმედებაზე სახარებაში ასე წერია: „მოწყალე, გინა კეთილი, კაცსა ზედა კეთილი“, ე.ი. კერძო პირის ან კოლექტიური დახმარება ღარიბებისადმი. ვის და როგორ ეხმარებით?**

— ჩვენი რაიონის მოსახლეობის გარდა ვზრუნავთ ძეგვის ბავშვთა სახლსა და კოლონიაში მყოფ პატიმარ ქალებზე. ერთობლივ ღონისძიებებს ვატარებთ რესპუბლიკის ქალთა საბჭო და ჩვენი რაიონის ქალთა საბჭო, რომელსაც წლების მანძილზე ვხელმძღვანელობ. სოლიდარობას გვიწევს აგრეთვე რესპუბლიკური ქალთა საზოგადოება „ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის“, რომელსაც ქალბატონი ნანული შევარდნაძე ხელმძღვანელობს. ამ საზოგადოების დახმარებითა და მხარდაჭერით ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა რაიონში.

ქალბატონ მანანას მისამართით კეთილ სიტყვას ბევრი ამბობს, თუნდაც გოგობერიშვილების ოჯახის დედა: „მანანა ჩვენი ოჯახის მფარველი ანგელოზია. ის რომ ამ რაიონში არ გვეგულებოდეს, აქედან გადავიდოდით. ორი ხეიბრის — შვილისა და რძლის პატრონი ვარ. ჩვენ რომ დღეები გამოგვივლია, არავის ვუსურვებ. რამდენი წელიწადია, მანანა გოჩალეიშვილი გვერდში გვიდგას“...

**— ქალბატონო მანანა, გიყვართ ოჯახში საქმიანობა?**

— დიდ სიამოვნებას მანიჭებს ოჯახში ფუსფუსი. განსაკუთრებით მიყვარს სტუმრები. ის დღე არაფრად მიმაჩნია, თუ ჩემთან მეგობრები ან ნათესავები არ არიან. მეგობრების გარეშე კი ცხოვრება ვერც წარმომიდგენია.

**— რა თვისებებს აფასებთ ადამიანში?**

— ერთგულებასა და გულმოწყალებას, რაც დღეს წამალივით სჭირდება საქართველოს.

**— ისტორიული პიროვნებებიდან რომელი ქართველი ქალია ყველაზე საინტერესო და მისაბაძი თქვენთვის?**

— ყოველთვის მეამაყებოდა, რომ ამ პატარა ქვეყანას, თუმცა მაშინდელ დიდ სახელმწიფოს, ბრძენი ქალი — თამარ მეფე მართავდა.

თანამედროვე ქალებიდან ჩემთვის მისაბაძი იყო განსვენებული ნინო ჟვანია, თავისი კეთილშობილებითა და ადამიანებთან საოცრად თბილი ურთიერთობით. განსაკუთრებული გულისხმიერებით იღებდა ხალხს, უპასუხოდ და უყურადღებოდ არავის სტოვებდა და უმეტესობას მაქსიმალურად ეხმარებოდა.

**— ცხოვრება თავიდან რომ დაიწყოს, ისევ ამ გზას აირჩევდით?**

— ვერ გეტყვით, რას ვიზამდი, მაგრამ ხალხზე ზრუნვა, სიკეთის თესვა და ადამიანებისადმი სიყვარული, ალბათ ისევ ამ გზით მატარებდა.

**— რას უსურვებდით ქართველ ქალებს ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან?**

— მინდა ყველა ქალს ღიმილი, ბედნიერება და სიყვარული ჰქონდეს; მალე ყველა გაჭირვება მოგონებად დარჩენოდეთ, მხოლოდ მოგონებად.

**ესაუბრა ირმა ჩოფიკაშვილი**

## ოჯახური ჰარმონიის თანამამრავლები

# იდეალური დედამთილი

იდეალური დედამთილი არასოდეს არაფერში ჩაერევა, თუ მას სპეციალურად არ თხოვეს. ის თავის ვაჟსა და მის ცოლს უკვე ზრდადასრულებულად თვლის, რომელთაც შეუძლიათ დამოუკიდებლად გაერკვნენ თავიანთ საოჯახო პრობლემებში. გარდა ამისა, მან შესანიშნავად იცის, რომ შერიგებისთანავე ახალგაზრდები მას დაუფასებენ ამ „დახმარებას“. „ჩემთან ნუ ჩივიხარ“ — ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ეუბნება დედამთილი ჩემს ქმარს, — ყველას გაგწყვეტთ, მაგრამ რძალს არ წაგვეჩხუბები“.

თუმცა ზოგჯერ არის ისეთი სიტუაცია, როცა აუცილებელია მისი ჩარევა. თუ ოჯახური განხეთქილებისას დედამთილი შენს მხარეზეა, უკეთეს მოკავშირეზე ვერც იოცნებებ.

იდეალური დედამთილი მზადა გაგიადვილოს ოჯახური პრობლემების მოგვარება: ის ხან ფულით გეხმარება, ხან პროდუქტს მოგაწვდის, ხანაც საჩუქარს მოგართმევს.

იდეალური დედამთილი არასოდეს მოგახვევს თავის აზრს: არ მოითხოვს აუცილებლად ისე გააწყო სუფრა, აღზარდო ბავშვები და მოექცე ქმარს, როგორც თვითონ ექცეოდა. მაშინაც კი, როცა იცის, რომ შენი მომზადებული საჭმელი აუცილებელი კალორიებით ვერ უზრუნველყოფს მის შვილს, არ გაიძულებს დაუმზადო მას განსაკუთრებული კერძები.

და ბოლოს, მეტ წილ იდეალურ რძალს დედამთილიც იდეალური ჰყავს. აბა შეეცადე გაუზიარო დედამთილს შენი განცდები, ჰკითხო რჩევა, თვალი დახუჭო მისი ხასიათის ცუდ მხარეზე, ხშირად გაიღიმო და უთხრა, რომ ის არის ყველაზე ჭკვიანი, კეთილი და გამგები დედამთილი ქვეყანაზე...

და მაშინ აღმოაჩენ, რომ მართლაც ასეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიდი ვალის პატარა ნამცეცი

უამრავ შეხვედრას დავსწრებივარ. ბევრი იყო მათ შორის ხალხმრავალი, მყვირალა, თავის მოსაწონებელი. ხალხი გამოდიოდა და რიხიანად კითხულობდა წინასწარ დაწერილ სიტყვასბოლოსკენ — ბანკეტის მოახლოებისას, შესამჩნევი გამოცოცხლება ეტყობოდა აუდიტორიას და ყველაფერი მთავრდებოდა პროფესიონალი თამადის გაწაფული სადღეგრძელოებით.

აქ კი...

აქ სულ სხვაგვარად იყო საქმე.

ვარკეთილის მეურნეობის საშუალო სკოლიდან წავიდა დაწყებითი კლასების ხანდაზმული მასწავლებელი, რომელიც ამ სკოლის ცოცხალი მატიანე და მისი ერთ-ერთი მესაძირკვლე იყო.

თითქმის 40 წელი დაჰყო მან სკოლაში და ამ ხნის მანძილზე სკოლა ერთ ბავშვსაც არ დაუმთავრებია, ნინო აფციაურის თითქოს თანდაყოლილ სიბრძნეს, სიყვარულს და სიმშვიდეს არ ზიარებოდა.

ვარკეთილის მეურნეობაში არცერთი მშობელი არ არის, ნინოს მადლობელი არ იყოს, მისიანად არ თვლიდეს და არ თხოვდეს: რამე დამავალეთ, რამეთი დამსაქმეთ, შემაძლებინეთ თქვენი დიდი ვალის პაწაწინა ნაწილი მაინც გადავიხადოთო.

და, თუმცა „ათასი შვილის მშობელი“, საკუთარი ოჯახის შეუქმნელად გაჭაღარავებული ქალი, არასოდეს არავის აწუხებს, მის გაზრდილ ბიჭებს (აწ უკვე ზრდასრულ კაცებს) არ ავიწყდებათ, როდის არის ნინო მასწავლებლის შეშა დასაჩეხი ან ჩატეხილი შუშა ჩასასმელი.

ნინო აფციაურის ცხოვრებას თუ გულდასმით ჩაუკვირდებით, ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთი მძიმე ნაწილი ცოცხლად გადაგეშლებათ თვალწინ.

სოფელში დაიბადა, თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ღვევში. 1924 წელი იყო და უკვე გასაგებია, რა ხდებოდა იმ პერიოდში საქართველოს სოფლებში.

დამშეული ხალხი, დილიდან საღამომდე შრომა, კოლექტივიზაციის სუსხი, შიშველი ხელებით „ახალი ცხოვრების“ შენება.

ჯერ იყო და, მისი თანატოლები — 10-12 წლის ბავშვები დილიდან საღამომდე ნახევრად მშიერ-მწყურვალი მუშაობდნენ ხან მინდვრებში, ხან ფერმაში. მუშაობდნენ ენთუზიაზმით, სიხარულით, გულწრფელად სჯეროდათ, რომ დიდ, თავისუფალ ქვეყანას აშენებდნენ.

ახალ ქვეყანას განათლებული ხალხი სჭირდებაო, — იყო ასეთი ლოზუნგი.

ნინომაც პედაგოგიურ სასწავლებელს მიაშურა. ომმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. სოფელში მამაკაცები თითქმის აღარ იყვნენ. ნინომ ომის დაწყებისთანავე დაიწყო სოფლის სკოლაში მუშაობა და პარალელურად მუშაობდა როგორც ფრონტისათვის, ისე ზურგში დარჩენილი უმწეო მოხუცების დასახმარებლად. მასწავლებელიც იყო და კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეც.

ერთი ძმა ფრონტზე იბრძოდა, მეორე ჯერ კიდევ მოითხოვდა მზრუნველობას.

ნინო ყველაფერს ასწრებდა, ყველაზე ზრუნავდა, საკუთარ თავზე — ნაკლებად.

ხოლო 60-იანი წლებიდან ნინო აფციაურის ოჯახი ვარკეთილის მეურნეობაში გადმოვიდა საცხოვრებლად და მაშინვე სკოლას მიაშურა სამუშაოდ.

დირექტორმა პირველად თავი შეიკავა: ასეთ გამოუცდელ გოგოს მასწავლებლად ვერ მივიღებო, მაგრამ როცა საბუთებში ჩაიხედა, უნებლიეთ ფეხზე წამოდგა და „დაბრძანდითო“, უხერხულად ჩაილაპარაკა.

და აი, იმ დღიდან ილეწის და იმკის პატარების და მათი მშობლების სიყვარულს ნინო აფციაური, აწ უკვე მრავალი ჯილდოს მფლობელი, მაგრამ ისეთივე მოკრძალებული, როგორც მაშინ — ყმაწვილქალობაში.

მე ვარკეთილის მეურნეობის სკოლასთან ვმეგობრობ და იმ დღეს, 1998 წლის თებერვლის ერთ ქარიან დღეს, მეგობრებმა მთხოვეს — პატარა სასკოლო ღონისძიება გვაქვს და გვეწვიეთო.

სკოლის შენობას გვერდი ავუარეთ და სწორედ მაშინ შევედით ნინოს პატარა ბინაში, როცა ბავშვები ყვავილებითა და თავისავე ხელით გამომცხვარი ტკბილეულით ნინოს კარს აკაკუნებდნენ.

თურმე, ნინო მასწავლებლის დაბადების დღე ყველას ახსოვდა და სანამ მასწავლებელი პენსიაზე არ წავიდა, არავის აძლევდა უფლებას, ეს დღე რაიმეთი აღენიშნათ.

ახლა კი პატარებმა დრო იხელთეს და ეს დანაკლისი აინაზღაურეს.

ბავშვები კისკისებდნენ, სასაცილო ეპიზოდებს იხსენებდნენ, ნინო მასწავლებელს მადლობას უხდიდნენ: ჩვენ რომ ადამიანებად აღგვზარდეთ, იმიტომო.

ჩვენ — უფროსები ვიღიმებოდით, გულის კოვზთან რაღაც თბილი გრძნობა თიმთიმებდა და სიხარულის ცრემლს ვიკავებდით.

რაღაც ძალიან გვიხაროდა.

**ნარგიზა მგელაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აღდგა ვარციხის სიონი

და მოევლინა წმინდა ნინო ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ქრისტეს სჯულის მქადაგებლად, რაც სიმბოლური დასაბამი გახდა ქრისტიანობის ოცსაუკუნოვან ისტორიაში ღვთის სადიდებლად ქართველი ქალების ღვაწლისა.

საქართველოს მიწა-წყალი მოფენილია ციხე-სიმაგრეებითა და ეკლესია-მონასტრებით, რაც დღეს ქართველი ერის სულიერ საგანძურს წარმოადგენს. მათგან ერთ-ერთი შესანიშნავია ვარციხის ნანგრევები დღემდე შემორჩენილი ორი ეკლესიით.

ვარციხე — ვარდციხე, ეგრისის სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი. ბერძნულ წყაროებში როდოპოლისი, გვიანდელ შუა საუკუნეებში იმერეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია — ათასჭირგამოვლილი, დანგრეული, მიწასთან გასწორებული და ორსაუკუნოვან ძილს მიცემული.

და მოვიდა დრო გამოღვიძებისა, აღდგა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია — ვარციხის სიონი, რომელიც 1997 წლის 14 იანვარს (ძველი სტილით 1 იანვარს) აკურთხა ბაღდათი-ვანის ეპარქიის ეპისკოპოსმა — მეუფე ანტონმა და ამავე დღეს აღავლინა სადღესასწაულო წირვა. ეკლესიის მოძღვრად განამწესა მამა მარკოზი. მის აღსადგენად დიდი შრომა გასწიეს ქალბატონებმა ნათელა ბაქრაძემ, ციცინო გაბუნიამ, ლალი თუთბერიძემ, მანონ გეწაძემ და ვარციხის მთელმა პედაგოგიურმა კოლექტივმა იზო კვანტრიშვილის ხელმძღვანელობით.

ყველაფერი ამ ექვსი-შვიდი წლის წინ დაიწყო. ნათელა ბაქრაძემ ვარციხის აღდგენის შესახებ თავისი აზრი გაანდო ვარციხის საშუალო სკოლის პედაგოგს, თავის კოლეგას იზო კვანტრიშვილს, რომელმაც მაშინვე თანადგომა აღუთქვა. მათ ძალა და ენერგია არ დაუზოგავთ, რომ ვარციხის ნანგრევებში ჩაკარგული ეკლესიის შენობა და მიმდებარე ტერიტორია მიწაყრილისაგან გაეთავისუფლებინათ, გაეცოცხლებინათ უმშვენიერესი სულიერი კულტურის კერა, სადაც საუკუნეების მანძილზე აღევლინებოდა წირვა-ლოცვა, სადაც დღესაც ღვთის მადლი ტრიალებს. ინიციატორებს გვერდით ედგნენ თანამოსაქმეები: უკეთილშობილესი ქ-ნი ლალი თუთბერიძე, ვარციხის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და მოსწავლე-ახალგაზრდობა. როგორ გაიხარეს, როცა გაწმინდეს ეკლესიის გალავანი და გამოჩნდა ნანგრევებში ჩაკარგული კედლები. ამ სიხარულს იზიარებდა ჭაღარა მანდილოსანი ციცინო გაბუნია, ყოველდღე საგზლით სავსე კალათით რომ მოდიოდა ენთუზიასტებთან.

> „მოდიოდა იგი ქალწული, უმშვენიერესი, სულით უმანკო და სხეულით უზადო, ტანად ალვა და პირად სახიერი, გონებით ნათელიმრი და რწმენით შეგრძნებული, ყვავილ-ბალახთა მესაიდუმლე და მესასწაულე აქიმ-მკურნალი“.
>
> ლევან სანიკიძე
> „წიგნი მოწამეთა“



მთელი სოფელი დაირაზმა საშვილიშვილო საქმისთვის: ზოგს ცემენტი მოჰქონდა, ზოგს სხვა სამშენებლო მასალა. უფლის შეწევნით და დაუღალავი შრომით გადაიხურა შენობა, გაილესა და გაპატიოსნდა ეკლესია. რომელსაც კანკელის თლილი ქვები შემოსწირა მანონ გეწაძემ — „გაჭირვების ტალკვესად“ მოვლენილმა ქალბატონმა. მანდილოსნები მარტო რას გახდებოდნენ, მათ რომ მევლუდ ჯიხვაძე, ზურაბ კაცაძე, ნუგზარ ბაქრაძე, მურმან რევიშვილი და ბესარიონ ფახურიძე არ დახმარებოდნენ.

ვარციხელ ღვთისნიერთა ინიციატივა უფლის ნებითა და შეწევნით ბრწყინვალედ დაგვირგვინდა.

ალბათ, ასეთი ენთუზიასტები სხვა კუთხეებშიც გამოჩნდებიან.

**დარეჯან სულაბერიძე**



# უცხოეთშიც მოეწონებოდათ, მაგრამ...

## უსახსრობის გამო ქართველ ქალთა ნამუშევრები ვერსად გაგვაქვს

**ორი კვირის მანძილზე მასპინძლობდა ხელოვნების მუშაკთა სახლი არაჩვეულებრივ გამოფენას, რომელზეც ქართველ ქალბატონთა უმშვენიერესი ნაქარგები იყო წარმოდგენილი: სალოცავი ხატები, წმინდანთა გამოსახულებანი, პეიზაჟები — აი, არასრული სია იმ ნამუშევრებისა, რომლებიც სტუდია-სახელოსნო „ქარგამ" დაინტერესებულ მნახველს შესთავაზა.**

**ჩვენც ვისარგებლეთ შემთხვევით და გამოფენის შესახებ სტუდიის ხელმძღვანელს, მხატვარ დოდო ნემსაძე-ბარამიძეს გავესაუბრეთ:**

**— ქალბატონო დოდო, ორიოდე სიტყვით თქვენი სტუდიის შესახებ:**

— სტუდია-სახელოსნო „ქარგა" არსებობის ათ წელს ითვლის და მასში მრავალი მოყვარული ქალბატონია გაერთიანებული, რომელთა პროფესიების სპექტრი მრავალფეროვანია: დიასახლისები, პედაგოგები, ფილოლოგები, ბიოლოგები...

**— როგორ გაჩნდა სტუდიის შექმნის იდეა?**

— სრულიად შემთხვევით გავიცანი ქ-ნი ნიგარი ნიჟარაძე და მისი ნამუშევრებით მოვიხიბლე. სწორედ მაშინ გამიჩნდა სურვილი, მეც შემესწავლა ქარგვა. იმის მიუხედავად, რომ პროფესიონალი მხატვარი ვარ, ადრე არასოდეს მიფიქრია ამაზე. ქ-ნი ნიგარი ჩემი პირველი მასწავლებელი იყო. შემდეგ უკვე მე დავაინტერესე სხვა. იმ სხვამ მეგობარი მოიყვანა და ასე წავიდა ჯაჭვური რეაქცია.

**— გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებში რელიგიური თემა სჭარბობს. თქვენი აზრით, რამ განაპირობა ეს?**

— სულიერმა მოთხოვნილებამ, ადამიანში მომხდარმა შინაგანმა ძვრებმა, ეკლესიისკენ სწრაფვამ. სხვათა შორის, ნაქარგი ხატების ტრადიცია ქართულ ყოფიერებაში არ ყოფილა, რადგან ძაფი დროს ვერ უძლებს, მაგრამ ისევ სულიერი მოთხოვნილების წყალობით ხედავთ, რა შესანიშნავი ნიმუშებია წარმოდგენილი — ნინო ბრეგაძის „ივერიის ღვთისმშობელი", ნანა ლობჟანიძის „ლომზე ამხედრებული მამაი", ნიგარი ნიჟარაძის „მიქაელ მთავარანგელოზი", ლამარა გეგენავას „წმ. ნიკოლოზი" და მრავალი სხვა.

**— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ურთულესია ოქრომკედით ქარგვა. ამ მხრივ როგორაა საქმე?**

— ოქრომკედით ქარგვა ჩვენი საქმიანობის საბოლოო მიზანია. ეს განსაკუთრებული ფორმაა, მას სპეციალური ნემსი და ძაფი სჭირდება და შედეგიც ძნელად მიიღწევა. ამ მხრივ, გამოვყოფდი მხატვარ მაია პირველის „მიქაელ მთავარანგელოზს", მართლაც რომ ფილიგრანული ტექნიკით შესრულებულ ნამუშევარს.

**— გამოფენაზე ყოფით მოტივებზე შესრულებული ნიმუშებიცაა. რას გვეტყოდით მათ შესახებ?**

— დიახ. ჩვენს ქალებს დიდი სურვილი ჰქონდათ, ამ სფეროშიც ეცადათ თავი. განსაკუთრებით საინტერესოა ნუნუ კარდანახიშვილის ფიროსმანის სურათის ასლი „ყარაჩოღელები", მინიატურა „ათას ერთი ღამე", „ნატვრის ხე", ლია კერვალიშვილის მიერ შესრულებული ელენე ახვლედიანის „მცხეთა საღამო ჟამს", მედეა არეშიძის „იაპონელი ქალები", „ეგვიპტური მოტივი".

**— რამდენად ხშირად აწყობთ გამოფენებს და თუ გიცნობთ ფართო საზოგადოება?**

— გამოფენებს, შეძლებისდაგვარად, ყოველწლიურად ვაწყობთ. შარშან ხელოვნების მუზეუმშიც გამოვფინეთ ჩვენი ნახელავი. საერთოდ, ყველაფერი ხარჯებთანაა დაკავშირებული და ფინანსური შესაძლებლობებით განისაზღვრება. სპონსორი რომ გვყავდეს, კატალოგს შევადგენდით, ურომლისოდაც საზღვრებს გარეთ ვერ გავაღწევთ. მაშინ მართლა ყველა გაგვიცნობდა და ეს ჩვენი ტრადიციული ხელსაქმე იქნებ გაქრობის საშიშროებას გადარჩენოდა.

**— დაახლოებით რამდენი ნამუშევარია წარმოდგენილი?**

— 54 პიროვნების 104 ნამუშევარი. უდიდესი მადლობა ქ-ნ მედეა ძიძიგურს, რომელმაც უანგაროდ დაგვითმო შენობა. ბევრი რომ გვყავდეს ასეთი გულშემატკივარი...

სხვათა შორის, აქ ერთი პიროვნება არ გახლავთ — გიორგი გალდავა. დიახ, დიახ, ნუ გაიოცებთ. შესანიშნავი ნამუშევრები აქვს, სალოცარი ფერთა გამა, ერთხელ თუ ნახეთ, არ დაგავიწყდებათ მის მიერ შექმნილი წმ. პეტრეს და წმ. გიორგის ხატები. მაგრამ, მან ახლა პოლიციაში დაიწყო მუშაობა და, სამწუხაროდ, დრო აღარ ჰყოფნის. ესეც ჩვენი დუხჭირი პირობებითაა გამოწვეული.

**— ქ-ნო დოდო, დარწმუნებული ვარ, ამ გამოფენის შემდეგ, მრავალს გაუჩნდება სურვილი, თავად სცადოს ბედი. თუ იღებს სტუდია ახალ მოსწავლეებს და სად შეიძლება მოგმართონ მსურველებმა?**

— უარს როგორ ვეტყვით ვინმეს ამ კეთილშობილურ საქმეში, ჩვენ ხომ ერთადერთი მიზანი გვამოძრავებს — აღვადგინოთ ქართველი ქალების ტრადიციული ხელსაქმე ქარგვა, რადგან ჩვენს ერს ძალიან ესაჭიროება სულით მშვენიერი, კეთილშობილი ქალბატონები და საერთოდაც, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს — ქართველმა ქალმა სჯობს ხელსაქმით გაითქვას სახელი, ვიდრე საზღვარგარეთიდან სავსე ჩანთების თრევითა და წანწალით.

P. S. მე კი ერთს დავუმატებდი — ქალბატონ დოდოს, მოკრძალების გამო, არაფერი უთქვამს საკუთარ ნამუშევრებზე, რომლებიც გამოფენაზე „წმ. ნინოს", „ხარების" და „იკებანების" სახით იყო წარმოდგენილი. დამერწმუნეთ, ესენი იმდენად ხელშესახები და ოსტატური ნამუშევრებია, რომ არავინ დაიჯერებს, ამ საქმეში ნემსი და ძაფი საერთოდ თუ ურევია. ქარგვის შესწავლით დაინტერესებულ პირთ კი ვაწვდით ქალბატონ დოდო ნემსაძე-ბარამიძის ტელეფონს: 53-39-58. ნუ გაუშვებთ ხელიდან შანსს.

**მანანა იმესაშვილი**

**გამოფენის ექსპონატები იხ. გარეკანის I გვ-ზე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია კულინარია

## მისი უდიდებულესობა — ჭარხალი

წითელი ჭარხალი, როგორც კვების სასარგებლო პროდუქტი, ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველი არაბებისა და სპარსელებისათვის.

ჰიპოკრატე ჭარხალს მოიხსენიებდა როგორც ყველა დაავადების წამალს.

რა არის მასში ასეთი ფასეული?

ჩვენი ორგანიზმისათვის მეტად სასარგებლო ჭარხლის შემცველი ნახშირწყლების ნაკრები, ვიტამინები, ორგანული მჟავები, მიკრო და მაკროელემენტები, მაგრამ განსაკუთრებით ფასეულია ის, რომ იგი შეიცავს ვიტამინ P. მისი მეშვეობით სისხლძარღვები ინარჩუნებენ მოქნილობას და ელასტიურობას. აქედან გამომდინარე, არ ვითარდება სკლეროზი და დაბლა იწევს წნევა. სწორედ ამ თვისებების გამო, ჭარხალს ახალგაზრდობის ვიტამინს უწოდებენ.

წითელი ჭარხალი მდიდარია რკინით, კალციუმით, მაგნიუმით, ფოსფორით, კობალტით, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სისხლისწარმოქმნის პროცესში და არეგულირებენ ნივთიერებათა ცვლას.

ჭარხალში შემავალი ორგანული ნივთიერება ბეტაინი ხელს უწყობს ზრდის სიჩქარეს, აუმჯობესებს თირკმელების მოქმედებას და იცავს მათ ცხიმოვანი გადაგვარებისაგან.

რუსეთში ადამიანებმა დიდი ხნის წინ შეიტყვეს ჭარხლის სარგებლიანობა. ჭარხლის წვენს ღებულობდნენ, როცა საჭირო იყო სისხლდენის შეჩერება, სიმსივნის შემცირება, ფილტვების სხვადასხვა დაავადების მორჩენა, კბილის ტკივილის შემსუბუქება. მოხარშულ ჭარხლის წვენს ხმარობდნენ გაციებისას, ცინგის საწინააღმდეგოდ.

ახლაც ითვლება, რომ ჭარხალი არაჩვეულებრივი შარდმდენი და სასაქმებელია, ანთების საწინააღმდეგო, ტკივილდამაყუჩებელი. წნევის დამწევი წამალია. მისი მიღება რეკომენდებულია ჰიპერტონიის, კანის კიბოს, გაციების, შეკრულობის, სისხლნაკლებობის, ცინგის დროს.

ახლადგამოწურული ჭარხლის წვენი იხმარება პლევრიტისა და თირკმელებით დაავადებისას, თაფლთან შეზავებული შველის ჰიპერტონიას. სამკურნალო თვისებები ახასიათებს არა მარტო წვენსა და ჭარხალს, მის ფოთლებსაც.

## ჭარხლის წვენი

მოუჩვევლად ჭარხლის წვენის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს გულის რევა და თავბრუს ხვევა. ამიტომ უმჯობესია, მიიღოთ სტაფილოს წვენთან ერთად, ჯერ ცოტა, შემდეგ ნახევარი ჭიქიდან ჭიქა ნახევრამდე (მთელი დღის განმავლობაში). გამოწურული წვენი შეგიძლიათ მოათავსოთ მაცივარში რამდენიმე საათის განმავლობაში. გამოღებისას მოხადეთ ქაფი, შეურიეთ სტაფილოს წვენი (შეფარდებით 1:4) და მიირთვით.

სტაფილოსა და ჭარხლის წვენის ნაზავი სისხლის უჯრედების საუკეთესო საშენია. ასეთი ნარევი ასტიმულირებს სისხლში ერითროციტების წარმოქმნას, აუმჯობესებს მეხსიერებას, ხოლო სისხლნაკლებობის დროს უკეთეს საშუალებას ვერ მიაკვლევთ. თუ გაწუხებთ უძილობა და ნევროზი, დაიმახსოვრეთ, რომ წვენის ეს ნარევი ამაგრებს ნერვულ სისტემას.

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ამ ნაყენს შეუძლია გააუმჯობესოს ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულთა მდგომარეობა. რეკომენდებულია დღე-ღამეში 100 მლ.

## ჭარხლის ბორში

მასალა: 1 კილოგრამი ხარისხიანი ჭარხალი, 200 გრამი ხახვი, 500 გრამი კარტოფილი, 150 გრამი სტაფილო, 200 გრამი ნიახური, 100 გრამი ოხრახუში, 100 გრამი კამა, 2-3 დაფნის ფოთოლი, 5-6 კბილი ნიორი, ნახევარი ჩაის ჭიქა პამიდვრის წვენი ან 2-3 სუფრის კოვზი პასტა, 1 ჩაის ჭიქა ზეთი ან 150 გრამი კარაქი, მარილი და წიწაკა გემოვნებით.

მოშუშეთ წვრილად დაჭრილი ხახვი. მის მოშუშვამდე დახეხეთ ჭარხალი მსხვილ სახეხზე და დაჭერით სტაფილო მოგრძოდ, წვრილად (შეგიძლიათ დაჭრათ ლამაზ ფორმებადაც სპეციალური საჭრელი დანით). ნიახური და ოხრახუში დაჭერით. ჩაყარეთ მოშუშულ ხახვიან ქვაბში, ჩააყოლეთ დაფნის ფოთოლი, დაასხით 2 ლიტრი მდუღარე წყალი და შემდეგ ჩაუმატეთ ჭარხალი. ხუთი წუთის შემდეგ დაუმატეთ კარტოფილი, ხოლო ათი წუთის შემდეგ სტაფილო. როდესაც კარტოფილს ოდნავ დააკლდება ხარშვა, შეაზავეთ მარილით, ხოლო ცეცხლიდან გადმოდგმისას ჩაუმატეთ წვრილად დაჭრილი კამა და დანაყილი ნიორი.



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქტორის
ტელეფონი:
99-98-71

მასალები გადაეცა ასაწყობად 4.03.98 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.05.98 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. ტირაჟი 900. შეკვ. 307.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 7. კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილის ოპერა. 8. ჭადრაკის პარტიის იხეთი დახაწყიხი, როდეხაც შეტევაზე ხწრაფად გადახვლის მიზნით თეთრები ხწირავენ ფიგურას ან პაიკს. 11. იხლქნის დახამაგრებელი მაღალი ძელი გემზე. 12. მარცვლოვანთა ოჯახიხ ტანმაღალი მცენარე. 13. ხხვა თეორემის დახამტკიცებლად დამხმარე თეორემა. 14. ქხოვილის კიდეებზე მოვლებული ნაირხახოვანი ზოლი. 15. პერიოდული ხხდომა. 16. რაიმე ხივრცეში, ტერიტორიაზე განლაგებული გზების, ხაზების ერთობლიობა. 19. რაიმე დამხახურების აღხანიშნავად გაცემული ხაბუთი. 20. ევროპის ხახელმწიფო. 21. ხახუმარო შინაარხის მცირე ხაესტრადო პიესა. 24. ამერიკის შტატი. 28. რუმინული და მოლდავური ხალხური ხიმღერა. 29. ხალხური ხაგმირო ხიმღერები, პოემები, თქმულებები (ცალ-ცალკე ან ერთობლივ). 30. კანტორა, უწყება, ხამმართველო. 33. ხაზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება, კავშირი. 34. შაქრითა და ბილის წვენით დამზადებული ტკბილი ხახმელი. 35. ცხენის ჯოგი. 36. პირი, რომელიც კითხულობს რადიო ან ტელეგადაცემათა ტექსტს. 37. ხემიანი ხაკრავი.

**შვეულად:** 1. შორეული ნაოხნობის დიდი ხაოკეანო გემი. 2. ერთგვარი მოკლელულიანი მხუბუქი თოფი. 3. მაღალხარისხოვანი მინა. 4. ხხვიხი ბავშვების გამზრდელი ქალი. 5. თლილი ქვის დაკუთხვილი, ზევითკენ თანდათანობით გაწვრილებული ხვეტის მქონე ძეგლი. 6. რაიმე მოქმედებიხათვის ძალიხიხ აღმძვრელი მიზეზი. 9. ამხანაგობა. 10. რიხამე დაბეგვრის ან ანაზღაურების განაკვეთების ცხრილი. 17. ხტანდარტული ფორმის მოკლე ამოცანა, რომელხაც აძლევენ გამოხაცდელ პირს. 18. ლითონის, ხის და ხიხთ. დახამუშავებელი ხაბრუნებელი მანქანა. 22. კავშირი, ურთიერთობა. 23. ფრანგი კინომხახიობი ქალი. 24. ბრაზილიელი ფეხბურთელი. 25. ლურჯი ან იისფერი ძვირფასი ქვა. 26. ფიგურების განლაგება ჭადრაკის ან შაშის თამაშის ამა თუ იმ მომენტში. 27. პერსონაჟი ქალის ხახელი ვენესუელურ ტელეფილმში „რევანში". 31. ხოფელი ხოხუმის რაიონში. 32. აზიის ხახელმწიფო.

შეადგინა **ციალა ამაშუკელმა**

ნელი ოქროპირიძე

# ხელგარჯილობა

## სანემსე-ურნა ხელსაქმისათვის

აზეთი ხანემსე — ურნა არაჟანის ყუთებისაგან შეგიძლიათ გააკეთოთ. სამი ყუთი დაამაგრეთ ერთიმეორეს, მიაკერეთ ან მიაწებეთ. მორთეთ ფერადი ქაღალდის რუშებით. გამოჭერით პატარა მრგვალი პარალონი და შუა ყუთს ზევიდან დაამაგრეთ, გადააკარით წითელი თეთრწინწკლებიანი ქხოვილი (ან ხხვა რამ მხიარული ნაჭერი), კარგად დაამაგრეთ. მიაწებეთ ფეხები და ხანემსე — ურნაც მზად არის. ახლა შეგიძლიათ შიგ ხელსაქმისათვის ხაჭირო ხაგნები ჩაალაგოთ — ძაფები, ხათითე, ხანტიმეტრი, მაკრატელი და ხხვ.








2. მაცხოვრის დროინდელი გალავანი.



3. დღეს არსებული გალავანი.

4. 1. ბეთანიიდან იერუსალიმში (მარკოზი 14. 17).
2. საიდუმლო სერობიდან გეთსიმანიის ბაღში (მათე 26. 36).
3. გეთსიმანიიდან მღვდელმთავრის სახლში (მათე 26. 57).
4. კაიაფას სახლიდან პილატეს პრეტორიაში (იოანე 18. 28).
5. პილატესაგან ჰეროდეს სასახლეში (ლუკა 23. 7).
6. ჰეროდეს სასახლიდან პილატესთან (ლუკა 23. 11).
7. პილატეს პრეტორიიდან გოლგოთაზე (იოანე 19. 17).